

შემოსავლების
სამსახური

შემოსავლების სამსახურის ანგარიში 2014 წელი

ურთიერთობა მარტივია

გაფორმების ეკონომიკური ზონა თბილისი-2

სს

შემოსავლების
სამსახურის
ანგარიში
2014 წელი

მომსახურების დეპარტამენტი	4
საბაჟო დეპარტამენტი	9
შემოსავლების სამსახურის აპარატი	24
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	34
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	38
იურიდიული დეპარტამენტი	56
აუდიტის დეპარტამენტი	58
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	63
დავების დეპარტამენტი	64
საგადასახადო ადმინისტრირების დეპარტამენტი	65
ფინანსური დეპარტამენტი	70



შემოსავლების სამსახურის გუნდს 2014 წლის ბოლოს შემოვეერთდი. თუმცა, როგორც ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე, ყოველთვის აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და განვითარების სადარაჯოზე მდგომი, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში.

2014 წელი გამორჩეული იყო შემოსავლების სამსახურის საქმიანობაში. სამსახურის თითოეული თანამშრომლის ჩართულობითა და ძალისხმევით, სრულად შესრულდა კანონით ნაკისრი ვალდებულებები. პარალელურად გადასახადის გადამხდელებს ახალი და საინტერესო სერვისები შევთავაზეთ; მათ შორის, შემოსავლების სამსახურის საცნობარო სისტემა - wiki.rs.ge, წინასწარი შეტყობინებების სისტემა ფიტო-ვეტს დაქვემდებარებული საქონლისთვის, საგადასახადო კალენდრის გამოწერა გადამხდელებისათვის, ქონების დეკლარაციის ახალი და გამარტივებული შევსების სისტემა და ა.შ. ამ სერვისების საშუალებით, ჩვენ დაგზოგეთ გადასახადის გადამხდელის დრო; მივეცით მას საშუალება, მისთვის კომფორტულ გარემოში, აღესრულებინა საგადასახადო ვალდებულებები.

პატივისცემით,

გიორგი თაბუაშვილი

ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე,
შემოსავლების სამსახურის უფროსი


მომსახურების დეპარტამენტი

განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე, განახლდა www.rs.ge - ზე "ხშირად დასმული შეკითხვები"-ს გვერდი;

მოეწყო "ღია კარი"-ს დღეები ანაკლიაში, მესტიაში და ახალციხეში, რომლის ფარგლებშიც გადასახადის გადახდებთან განხილულ იქნა საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული საკითხები და სიახლეები;

ნავთობპროდუქტების ელექტრონული ჟურნალის დანერგვის მიზნით, განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილები და შეიქმნა შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული ცვლილების დასანერგად, სისტემატურად ეწყობოდა შეხვედრები ამ დარგის წარმომადგენლებთან;

2014 წლის განმავლობაში, საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებასთან დაკავშირებით, შემოსული და დამუშავებული იქნა **2,631** მატერიალური და **31,514** ელექტრონული წერილი;





საინფორმაციო-სატელეფონო ცენტრის მიერ მომსახურებულ იქნა **184,787** ზარი (საგადასახადო თემაზე - **158,472** ზარი, საბაჟო თემაზე - **26,315**). შემოსავლების სამსახურის ვებპორტალზე **926** გადამხდელის ვიდეოზარით აქტივაცია განხორციელდა;

დიპლომატიური წარმომადგენლობებისათვის მომზადდა საგადასახადო კითხვარი (გზამკვლევი);

2014 წელს, ფიზიკურ პირებზე მიწის გადასახადის დარიცხვის მიზნით, შემუშავდა პროგრამული მოდული, რომლის საშუალებითაც ხორციელდება საჯარო რეესტრიდან ელექტრონულად მოწოდებული ინფორმაციების დამუშავება/ანალიზი შემდგომი დარიცხვის უზრუნველსაყოფად;

2014 წელს სერვისცენტრებში **300 000**-ზე მეტმა ვიზიტორმა მიიღო მომსახურება;

გაიცა სათამაშო ბიზნესის **163** ნებართვა;

შემოსავლების სამსახურის მიერ, **55** გადამხდელზე **25,069,849** აქციზური მარკა გაიცა, ხოლო შემოსავლების სამსახურის შერჩეული პირის - კომპანია "SICPA Security Solutions Georgia"-ს - მიერ **113** გადამხდელზე **567,245,681** აქციზური მარკა გაიცა;

შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების მონაწილეზე ან წილის მფლობელზე, საოპერაციო კომპანიაზე, ტვირთის გამგზავნზე ან მათ აფილირებულ პირზე, გაიცა დღგ-ის ნულოვანი განაკვეთით სარგებლობის დამადასტურებელი **65** სერტიფიკატი;

511 გადამხდელის საიმპორტო საქონელს მიენიჭა ჰუმანიტარული დახმარების და გრანტის სტატუსი;

განხორციელდა **1,125** ორგანიზაციის მონაცემების ასახვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროექტების განმახორციელებელ პირთა რეესტრში;

გაიცა **835** ცნობა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ;

12 გადამხდელს მიენიჭა სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი; მონაცემთა დამუშავების დარღვევების პრევენციის და მათი რაოდენობის შემცირების მიზნით, განხორციელდა გადასახადის გადამხდელთა მიერ წარმოდგენილ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ბაზის მონიტორინგი და რეპორტების დამუშავება; კერძოდ, დამუშავებულ იქნა:

2011 - 2014 წლების რეპორტი „ინფორმაცია გადამხდელის დღგ-ის დასაბეგრი ოპერაციების შესახებ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების და სასაქონლო ზედნადებების მიხედვით“. სულ დაჯარიმდა **6,325** ორგანიზაცია. დარიცხულმა თანხამ შეადგინა **41,432,773.34** ლარი; მათ შორის, ძირითადი - **26,676,878.45** ლარი, სანქცია 275-ე მუხლის შესაბამისად - **14,755,894.89** ლარი;

2011 - 2013 წლების რეპორტი „დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის მიერ რეგისტრაციამდე და რეგისტრაციიდან მოხსნის შემდგომ საანგარიშო პერიოდზე გამოწერილი ელექტრონული ანგარიშ-ფაქტურები“. შემოწმებულ იქნა **1125** გადამხდელი; სულ დაჯარიმდა **768** გადამხდელი; დარიცხულმა თანხამ შეადგინა **370,257.21** ლარი მ/შ ძირითადი **246,838.14** ლარი, სანქცია 275-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად - **123,419.07** ლარი;

განხორციელდა **468**
ობიექტზე **tax free-ს**
მინიჭება/ცვლილება.

ქონების სახელმწიფო
საკუთრებაში გადაცემის
განკარგულების
საფუძველზე ჩამოწერილმა
დავალიანებამ შეადგინა
3,095,955.34 ლარი.

366 გადამხდელს ჩამოეწერა
საგადასახადო ჯარიმა და
საურავი.

დარიცხულ იქნა სანქცია 291-ე მუხლის შესაბამისად - **476,400.00** ლარი;

დეკლარაციების და გაანგარიშებების დაგვიანებით წარდგენისა
და ინფორმაციის წარუდგენლობისათვის სსკ 274-ე და 291-მუხლის
შესაბამისად, დაჯარიმებულ იქნა **14 281** გადამხდელი; დარიცხულმა
სანქციამ შეადგინა **4,584,139** ლარი;

სსკ 309-ე მუხლის 45-ე ნაწილის საფუძველზე, **71** გადასახადის
გადამხდელს ჩამოეწერა დავალიანება, რომელიც საქართველოს
საგადასახადო კანონმდებლობით არ ითვლება აღიარებულად;
აღნიშნული დავალიანების თანხის დარიცხვასთან დაკავშირებით,
გადამხდელისათვის არ ყოფილა წარდგენილი საგადასახადო ორგანოს
შეტყობინება/საგადასახადო მოთხოვნა და გასულია მისი წარდგენის
6-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. უარი ეთქვა 56 გადამხდელს;

295 გადამხდელს ჩამოეწერა საგადასახადო ჯარიმა და საურავი სსკ-ს
309-ე მუხლის 37-ე ნაწილის შესაბამისად, ხოლო **70** გადამხდელს უარი
ეთქვა აღნიშნული ჩამოწერის განხორციელებაზე.

გედგემად გადახდილი გადასახადის თანხების დაბრუნების მოთხოვნათა განხილვა

პერიოდი - 01.01.2014 - 31.12.2014	რაოდენობა	თანხა
მოთხოვნილია	3,439	235, 112,700
დადებითი გადაწყვეტილება მიღებულია	1,105	123, 255,900
ეთქვა უარი	2,334	111, 856,800
გადაგზავნილია აუდიტში	44	10, 595, 400



ზედმეტად გადახდილი გადასახადის ერთი სახიდან მეორეში გადატანის მოთხოვნით, 2014 წელს შემოვიდა **5,103** გადასახადის გადამხდელის მოთხოვნა, რომელთაგან დაკმაყოფილდა **4,392**;

2014 წელს **5 317** გადამხდელზე გაიცა ცნობა განხორციელებული სასაქონლო ოპერაციების შესახებ, ხოლო **338** გადამხდელზე - სასაქონლო დამუშავების ოპერაციების შესახებ ცნობა (შელავათის შემთხვევაში);

რეგისტრაციის ბაზის სრულყოფისა და სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა მოქმედი/უმოქმედოს სტატუსის განსაზღვრის ახალი კრიტერიუმები; შესაბამისად, წარდგენილ იქნა პროექტი მინისტრის **996** ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

დამტკიცდა „ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის თანხის დაბრუნების დამატებითი პროცედურების და „გადასახადის გადამხდელის მოთხოვნაზე“ დასართავი საბუთების ნუსხის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ახალი ბრძანება, სადაც დამატებულ იქნა, საგადასახადო

კოდექსის 189-ე მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, იმპორტიორი გადასახადის გადამხდელთათვის იმ მსუბუქი ავტომობილების იმპორტზე გადახდილი აქციზის 50%-ის ოდენობის თანხის დაბრუნების პროცედურა, რომლებმაც, 15 კალენდარული დღის განმავლობაში, ექსპორტის ოპერაციით, დატოვეს საქართველოს ტერიტორია. ასევე, შეტანილ იქნა ცვლილებები ანგარიშ-ფაქტურების დაწყვილების კუთხით, გადამხდელის მიმართ მიმდინარე საგადასახადო შემოწმების დროს და შემდგომი პერიოდისთვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების პროცედურის განსაზღვრისთვის და ა.შ.;

მომზადდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N996 ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად, საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის მიზნით, პროგრამის/პროექტის მონაწილე პირს უფლება აქვს ამ პროექტის ფარგლებში გადახდილი დღგ-ის თანხის როგორც დაბრუნების, ასევე მომავალ საანგარიშო პერიოდებზე ჩათვლის იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილი იქნება ოპერაციის განხორციელებიდან 3 თვემდე ვადაში;

2014 წლის განმავლობაში უბნის ოფიცერთა სამმართველოს მიერ შედგენილ იქნა **29,561** საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოფხვრის ვადის განსაზღვრის აქტი (რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის - **5,690**, საკონტროლო სალარო აპარატის გარეშე საქმიანობისთვის - **3,238**, გადამხდელის მოწმობის ასლის გამოუკვრელობისათვის - **10,437**, საცალო ვაჭრობისას ფასის მაჩვენებლის გამოუკვრელობისათვის - **9,937**, მიკრო /მცირე ბიზნესის სტატუსის წესების დარღვევისათვის - **217**, ფიქსირებული სტატუსის წესების დარღვევისათვის - **42**. გაფრთხილებული ობიექტებიდან გადამოწმებულია **29,041** ორგანიზაცია (გამოსწორდა - **26,228**, დაკეტილია/შეწყვიტა - **2,370**, სანქცია/გაფრთხილება - **72**, სულ დაჯარიმდა **371** (თანხით - **99,500** ლარი);

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა **4,714** სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ჩამოწერა (ადგილზე გასვლით - **3,233**, ავტომატურად დადასტურებული - **1,481**, დაჯარიმდა - **151** (თანხით - **178,044** ლარი), საბაჟო ზედამხედველობას დაქვემდებარებული საქონელი განადგურდა - **192**;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შეძენილ საქონელზე გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის (Tax Free) სახით დაბრუნებულია 14,468,603 ლარი.



2014 წელს აღწერილ იქნა **98,918** გადასახადის გადამხდელის ობიექტი; აგრეთვე, საქართველოს მასშტაბით, მარკირებულ იქნა (გაიკრა ე.წ. „სტიკერები“ – „ნებოვანა“, რომელზედაც დატანილია უბნის ოფიცირისა და შესაბამისი სექტორის უფროსის საკონტაქტო რეკვიზიტები) – **98,215** ობიექტი;

2014 წელში **2670** ფიქსირებული სტატუსის მქონე გადამხდელს ჩაბარდა შესაბამისი სერთიფიკატი;



2014 წლის ოქტომბრის თვიდან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, უბნის ოფიცრები უზრუნველყოფენ ახლად დარეგისტრირებულ გადამხდელებთან დარეკვას/ ადგილზე მისვლას და რეკომენდაციის გაწევას 5 დღის ვადაში, რაც გადასახადის გადამხდელს უმარტივეს მისთვის საჭირო ინფორმაციის ადვილად და დროულად მიღებას.

2014 წელს დარეგისტრირებულია **7130** გადასახადის გადამხდელი; მათ შორის, **4893** გადამხდელთან მოხდა ტელეფონით დაკავშირება; ადგილზე გასვლა - **124** ობიექტზე, ხოლო ელექტრონული ფოსტით დაკავშირება - **2 113** გადასახადის გადამხდელთან; შეტყობინება/ კონსულტაცია გაენია **106 365** გადასახადის გადამხდელს;



პირადი საგადასახადო მრჩეველი PRIVÉ სერვისით მოსარგებლეს, საჭიროების შემთხვევაში, 24/7 განმავლობაში, ტელეფონით/ელ-ფოსტით/ადგილზე გასვლით, უწევს საკონსულტაციო/პროცედურულ მომსახურებას; 2014 წელს PRIVÉ სერვისით სარგებლობს 300-მდე ორგანიზაცია.

პირადი საგადასახადო მრჩეველების მიერ განხორციელდა **21,424** სატელეფონო კონსულტაცია, განხილულ იქნა Privé სერვისით მოსარგებლეთა **2,135** განაცხადი, გაიკა **1,935** წერილობითი კონსულტაცია;

გადასახადის გადამხდელებთან სისტემატურად მიმდინარეობდა შეხვედრა Privé სერვისის გაცნობის მიზნით; აღნიშნული შეხვედრების შედეგად, **70** ახალი ხელშეკრულება გაფორმდა.

საბაჟო დეკლარაციები

საბაჟო კონტროლი და ზედამხედველობა

საქონლის დეკლარირება იმპორტიორის გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მიუსვლედად – სატრანსპორტო საშუალების გზა-ში გამოცხადების შემდეგ, წარდგენილი თანმხლები დოკუმენტების დასკანერებული ვერსია, ვებგვერდის მეშვეობით, გადაეგზავნება ორგანიზაციას; ორგანიზაცია განიხილავს დოკუმენტებს და, თანხმობის შემთხვევაში, ვებგვერდზე ოფიციალურად ატვირთავს მათ. დოკუმენტების მიღების შემდეგ, გზა-ის ოფიცერი შეაგებს და დაასრულებს დეკლარაციას. აღნიშნული მომსახურების პირობებში, იმპორტიორს აღარ მოუწევს გზა-ში ფიზიკურად გამოცხადება, რაც დაზოგავს მის დროს და გაუმარტივებს საქონლის გაფორმების პროცედურას.

საქონლის გაფორმების შესაძლებლობა რიგის დაკავების მეშვეობით

საქართველოში რეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს შეუძლია, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდიდან, მიიღოს ელექტრონული მომსახურება – განცხადება რიგის დაკავების შესახებ. ინფორმაცია მისი ბილეთის გამოძახების სავარაუდო დროის შესახებ, რამდენიმე წამში, მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, მიდის გადასახადის გადამხდელთან, რაც კიდევ უფრო დაზოგავს გაფორმებისთვის საჭირო დროს.

შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე შესაძლებელია საქონლის გასაფორმებლად დისტანციურად რიგის დაკავება - გადასახადის გადამხდელი იღებს სმს-ს ზუსტი თარიღის და დროის მითითებით.

პროცედურების გამარტივების მიზნით, დაინერგა რამდენიმე ელექტრონული მომსახურება

წინასწარი დეკლარირების დროს (სატრანსპორტო საშუალების საქართველოში შემოსვლამდე), თუ საჭირო გახდა სასაქონლო საბაჟო დეკლარაციაში ცვლილების შეტანა, ორგანიზაციის წარმომადგენელს აღარ მოუწევს ფიზიკურად გაფორმების ეკონომიკურ ზონაში მისვლა და განცხადების დაწერა, რადგან შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდიდან ელექტრონულად შეუძლია მოითხოვოს დეკლარაციაში ცვლილების შეტანა. ორგანიზაციის მიერ ელექტრონულად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, მოხდება დეკლარაციაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, რაც დროის დაზოგვის საშუალებაა;

დაინერგა საბაჟო დეკლარაციის შესახებ შეტყობინების მობილურ ტელეფონზე გაგზავნის მომსახურება

შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე დარეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს შეუძლია, საკუთარი სურვილისამებრ, მიუთითოს საკონტაქტო მობილური ტელეფონის ნომერი, რომელზეც მიიღებს

შეტყობინებას საბაჟო დეკლარაციის შესახებ. შეტყობინება იგზავნება დეკლარაციის C ნომრის, რისკის პროფილის მიერ განსაზღვრული დერეფნის ფერისა და A ნომრის თაობაზე.

წინასწარი დეკლარირების შემთხვევაში, შეტყობინება დამატებით მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სატრანსპორტო საშუალების წარდგენა, იდენტიფიკაციის საშუალების მთლიანობის დაურღვევლად, უნდა მოხდეს აღრიცხვის მოწმობაში მითითებულ დანიშნულების ადგილზე. აღნიშნული მომსახურება უზრუნველყოფს იმპორტიორისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდებასა და სამართალდარღვევის პრევენციას;

შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე დარეგისტრირებულ გადასახადის გადამხდელს, საკუთარი სურვილისამებრ, შეუძლია მიიღოს SMS შეტყობინება აღრიცხვის მოწმობის რეგისტრაციისა და ტერმინალში გამოცხადების თაობაზე.

საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვა და ინფორმაციის გაცვლა

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე, საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე; ამჟამად მიმდინარეობს ინფორმაციის ონლაინ გაცვლა;

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვის პრინციპის საფუძველზე, საბაჟო პროცედურების განხორციელებაზე;

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების საბაჟო ადმინისტრაციებს შორის ინფორმაციის წინასწარ გაცვლის რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

ნებართვების ერთიანი ელექტრონული სისტემა,

„ერთი ფანჯრის პრინციპიდან“-დან გამომდინარე, დაინერგა და ამოქმედდა „ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული სისტემა“.

სადაც ლიცენზიების/ნებართვების/სერტიფიკატების გამცემი ორგანოები ატვირთავენ მათ მიერ გაცემულ დოკუმენტებს. ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ლიცენზია/ნებართვა/სერტიფიკატი ჩაითვლება წარდგენილად იმ საბაჟო გამშვებ პუნქტში, სადაც ხორციელდება საქონლის ზოგადი დეკლარირება;

გადამხდელს შეუძლია, საკუთარი ბინიდან/ოფისიდან გაუსვლელად, გააკეთოს ელექტრონული განაცხადი ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის მიღების თაობაზე. შესაბამისი ორგანოს მიერ ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის გაცემის შემდეგ, ინფორმაცია

ხელმისაწვდომი ხდება შემოსავლების სამსახურისათვის. მეხაჟე „ერთიან ელექტრონულ სისტემაში“ ატვირთული ლიცენზიების/ნებართვების/სერტიფიკატების მიმართ განახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს (ძებნა, დახურვა, განაშთვა), რაც უზრუნველყოფს არასათარიფო ღონისძიებებს დაქვემდებარებული საქონლის მიმართ საბაჟო კონტროლის ღონისძიებების ეფექტურ განხორციელებას;



ამასთან, ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის გამცემი ორგანოები მიმდინარე რეჟიმში იღებენ ინფორმაციას მათ მიერ გაცემული ლიცენზიების/ნებართვების/სერტიფიკატების მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული ელექტრონული სისტემის საშუალებით იქმნება ლიცენზიების/ნებართვების/სერტიფიკატების ერთიანი ელექტრონული არქივი, რაც როგორც ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის გამცემ ორგანოებს, ასევე შემოსავლების სამსახურს, საშუალებას აძლევს, მარტივად უზრუნველყონ საჭირო დოკუმენტების ძებნა და მიიღონ სათანადო ინფორმაცია ცალკეული ლიცენზიის/ნებართვის/სერტიფიკატის მიმართ განხორციელებული პროცედურების შესახებ.


საფოსტო გადამზიდველების ერთიანი ელექტრონული ბაზა

საფოსტო გადამზიდველებისთვის შემუშავებულ იქნა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომლის მეშვეობითაც გადამზიდველების მიერ გზავნილების ატვირთვა ხდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში;

ასევე შემუშავებულ იქნა და პრაქტიკაში ინერგება საბაჟო ღირებულების განსაზღვრის დეკლარაციის საერთო ფორმა ონლაინ შემსყიდველი საფოსტო გადამზიდველების მომხმარებლებისათვის, რითაც დარეგულირდა დეკლარირების შევსების საკითხი და, შესაბამისად, საბაჟო კუთხით, ადმინისტრირების განხორციელება გაცილებით ეფექტური გახდება.

რკინიგზის ელექტრონული აღრიცხვის მოწმობა

დაიწყო სსიპ „შემოსავლების სამსახურსა“ და სს „საქართველოს რკინიგზას“ შორის საქართველოს ტერიტორიაზე სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული ტვირთების შესახებ ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლის პროექტის განხორციელება. შედგა პროექტის ტესტირების პროცესი და მისი იმპლემენტაციისათვის საჭირო სხვა ღონისძიებები. აღნიშნული პროექტით მნიშვნელოვნად შემცირდა მონაცემთა ბაზაში ინფორმაციის შეტანისათვის საჭირო დრო. გამარტივდა და უფრო მოქნილი გახდა საბაჟო პროცედურები. იგი საშუალებას იძლევა უფრო მოქნილად გამოვიყენოთ საბაჟო რისკების მართვის სისტემა. მონაცემთა ელექტრონულად გაცვლის სერვისი იძლევა საშუალებას მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი დოკუმენტების მატერიალურად წარდგენის ვალდებულება, რაც მნიშვნელოვნად უმარტივებს იმპორტიორებს საბაჟო პროცედურებს.



ფოთის პორტში კონტეინერების აღრიცხვის პროგრამა

მიმდინარეობს მუშაობა ფოთის პორტში კონტეინერების აღრიცხვის პროგრამაზე (oracle). აღნიშნულ ახალ პროგრამაში ინფორმაცია, 10 კმ. რადიუსში გადაადგილებულ კონტეინერებზე, ავტომატურად აისახება (პორტიდან გამოგზავნილი მონაცემების საფუძველზე). იგი ჩაანაცვლებს გამარტივებულ აღრიცხვის მოწმობებს, რომლის შევსებაც აქამდე ხდებოდა ხელით, ხაზის და საწყობის თანამშრომელთა მიერ.

თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მოთავსებული საქონლის ელექტრონული აღრიცხვა

მიმდინარეობს მუშაობა საწყობისა და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტის საქმიანობის ნებართვების გაცემის წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე; საქართველოს მთავრობის N9 დადგენილებაში დაგეგმილი ცვლილებების ფარგლებში, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტში მიღებული და გასული საქონლის შესახებ ინფორმაციის შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტისთვის, მატერიალური ფორმით წარდგენის ნაცვლად, ელექტრონული ფორმით წარდგენაზე. აღნიშნული მოგვცემს საშუალებას, ელექტრონული სახით, განვახორციელოთ სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლი; ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის პუნქტების მიერ ნაკლები დროის და რესურსის დანახარჯით, მოხდება საბაჟო ორგანოსთვის ინფორმაციის წადგენა.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირება

შეიქმნა ერთიანი ელექტრონული ბაზა, რომელშიც აისახება საბაჟო გამშვები პუნქტებიდან საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირების მეშვეობით მიღებული ინფორმაცია; ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი.

ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული პროცესის ონლაინ რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით.

განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

თანამედროვე საბაჟო და საგადასახადო ინფრასტრუქტურის მოწყობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. გადამხდელთა სწრაფი, ეფექტური და კვალიფიციური მომსახურების დონის ამაღლების მიზნით, მიმდინარე წელს, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

გაიხსნა გაფორმების
ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“.



2014 წელს შემოსავლების სამსახური ჩაერთო სურსათის ეროვნულ სააგენტოში ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე CIB პროექტში, რომლის უშუალო ბენეფიციარი გახლავთ სურსათის ეროვნული სააგენტო. ამ პროექტის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურმა უნდა უზრუნველყოს, აღნიშნულ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, სათანადო შენობა-ნაგებობების მომზადება (სასურსათო, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული), ხოლო CIB პროექტმა უნდა მოახდინოს ამ საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის სათანადო აღჭურვილობის გადმოცემა. **CIB პროექტით შესაძენი ინვენტარისა და ტრენინგების თანხა შეადგენს 1,000,000 ევროს**, ხოლო შემოსავლების სამსახურმა უნდა მიიღოს 250,000 ევროს თანამონაწილეობა და უზრუნველყოს საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სათანადო შენობების აშენება/მოწყობა;

ასევე, ევროკავშირის ერთ-ერთი პროექტი (ღირებულებით 3 მლნ. ევრო) ითვალისწინებს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საბაჟო გამშვები პუნქტის “წითელი ხიდი” საბაჟო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომლის ფარგლებშიც უკვე დაწყებულია სამუშაოები ფიტოსანიტარიული, ვეტერინარული, სურსათის უვნებლობის კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო სათანადო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად.



დასრულდა საბაჟო გამშვები პუნქტის „კარნახი“ რეკონსტრუქცია.

- ▶ მიმდინარეობს საბაჟო გამშვები პუნქტის „ნინოწმინდა“ მშენებლობა;
- ▶ იგეგმება ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლის ინფრასტრუქტურის განვითარება.

2014 წლის მაისში, ქ. თბილისში, ორხევის ტერიტორიაზე ფუნქციონირება დაიწყო კინოლოგიის ცენტრმა.

კინოლოგია

კინოლოგიის ცენტრის ტერიტორიაზე აშენდა სამსახურებრივი ძაღლების მოსათავსებელი 8 ვოლიერი, სავარჯიშო ოთახები, დროებითი მოთავსების 3 ვოლიერი და ვეტერინარული კლინიკა; ვეტერინარული კლინიკისათვის შეძენილ იქნა შესაბამისი ინვენტარი; შეძენილ იქნა 5 სატრანსპორტო საშუალება სამსახურებრივი ძაღლების ტრანსპორტირებისთვის;

გაფორმების ეკონომიკური ზონის „ბათუმი“ ტერიტორიაზე აშენდა 8 სამსახურებრივ ძაღლზე გათვლილი ვოლიერი, სავარჯიშო შენობა-ნაგებობა და მოხდა ტერიტორიის კეთილმოწყობა;

დაიწყო და დასრულდა ვოლიერების მშენებლობა შემდეგ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე: „წითელი ხიდი“, „სადახლო - საავტომობილო“, „ლაგოდეხი“, „ვალე“ და „სარფი“;

ვოლიერების მშენებლობა დაიწყო და მიმდინარეობს შემდეგ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე: „ნინოწმინდა“, „ყაზბეგი“ და „კარნახი“;

კინოლოგიის პროექტის ფარგლებში, შერჩეული კომპანიის მიერ, ორ ეტაპად მოწოდებული იქნა ნარკოტიკების ძიებაზე გაწოდებული 18 ერთეული სამსახურებრივი ძაღლი;

დაწყებულია მოლაპარაკება ჩეხეთის საბაჟო ადმინისტრაციასთან, 2015 წლისთვის კინოლოგიების და ახალი სამსახურებრივი ძაღლების გადამზადების თაობაზე;

შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის მიერ დამუშავდა და „ORACLE“-ის მონაცემთა ბაზაში ჩაირთო კინოლოგიური მომსახურების აღრიცხვის ელექტრონული პროგრამა;

კინოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფილია შემდეგი საბაჟო გამშვებ პუნქტები: „წითელი ხიდი“, „სადახლო - საავტომობილო“, „სარფი“, „ბათუმის აეროპორტი“, „ბათუმის პორტი“, „თბილისის აეროპორტი“, „გარდაბანი“, „მტკვარი“; გაფორმების ეკონომიკური ზონები: „ბათუმი“, „თბილისი“, „თბილისი 2“ და „აეროპორტი“;

შექმნიდან საანგარიშო პერიოდში, საბაჟო გამშვებ პუნქტების კინოლოგიური მომსახურებისას, სამსახურებრივი ძაღლის მეშვეობით, გამოვლენილი იქნა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონოდ შემოტანის 5 ფაქტი.

სპეციალური ტექნიკა

საბაჟო გამშვებ პუნქტები და გაფორმების ეკონომიკური ზონები დამატებით აღიჭურვა ვიდეოსათვალთვალო კამერებით და ხმის ჩამწერი მოწყობილობებით; ვიდეოსათვალთვალო სისტემით აღიჭურვა შემოსავლების სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები (არქივის შენობა, საწყობი, აუდიტის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობა, კინოლოგია და საგადასახადო სერვისცენტრები);

2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოსა და ევროკავშირის შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ამოქმედდა. აღნიშნული შეთანხმება საქართველოში წარმოებული საქონლის ევროკავშირის ტერიტორიაზე, აგრეთვე ევროკავშირში წარმოებული საქონლის საქართველოს ტერიტორიაზე, საბაჟო (იმპორტის) გადასახადების გარეშე იმპორტირებას ითვალისწინებს.

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე „სადახლო - საავტომობილო“, „გუგუთი“ და „ნინოწმინდა“ დამონტაჟდა ნომრის ავტომატური ამომცნობ - წამკითხავი კამერები;

საბაჟო გამშვებ პუნქტებისათვის - „ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“, „ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ და „ბათუმის აეროპორტი“ - შეძენილ იქნა ორი ერთეული ხელბარგის სკანერი;

საბაჟო გამშვებ პუნქტებზე - „ვალე“, „ნინოწმინდა“ და „ლაგოდეხი“ - დასრულდა სტაციონარული რენტგენული სკანერის შენობის მშენებლობა და მისი სამონტაჟო სამუშაოები.

საკანონმდებლო ცვლილებები

იმპორტისათვის განკუთვნილ საქონელზე მოქმედი რეგულაციის მსგავსად, ძალაში შევიდა ექსპორტისა და შიდა გადამუშავების სასაქონლო ოპერაციების დროს საქონლის საგადასახადო ორგანოსთან შეთანხმებულ ადგილზე წარდგენის წესი.

ექსპორტის კონტროლი

შემოსავლების სამსახურის მონაწილეობით, სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა და დამტკიცდა „სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტები:

„სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის N372 დადგენილება;

„სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 ივნისის N 394 დადგენილება;

„სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხის გამოყენების თაობაზე“ წესის (საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნულ სასაქონლო ნომენკლატურასთან კორელაციის ცხრილი) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №292 ბრძანება;

„ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, ტრანზიტისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციაზე საბროკერო მომსახურების და ტექნიკური დახმარების სანებართვო მოწმობებისა და ნებართვის მისაღებად წარსადგენი განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის №291 ბრძანება.

საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან

საქართველოს ფინანსთა და სოფლის მეურნეობის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით, შემოსავლების სამსახურსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოს დაევაღათ, შექმნილიყო სამუშაო ჯგუფი, რომელიც ორი თვის განმავლობაში (მიმდინარე 2014 წლის 13 მარტამდე) უზრუნველყოფდა, ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ექსპორტის და იმპორტის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში, ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, ცვლილებების შეტანას (საქართველოს მთავრობის N426, N427, N429, N430 დადგენილებები);

განხორციელებული ცვლილებების თანახმად:

შეიქმნა „საერთო ფიტოსანიტარიული შესვლის დოკუმენტის“, „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტისა“ და „საერთო ვეტერინარული შესვლის დოკუმენტი - ცხოველების“ ერთიანი ელექტრონული სისტემა;

ამასთან, აღნიშნულ პროგრამაში ინტეგრირებულია ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის მონიტორინგის გეგმა და, გათვალისწინებული რისკების საფუძველზე, პროგრამა ავტომატურად განსაზღვრავს ნიმუშების აღების სიხშირეს და გამოსაკვლევ პარამეტრებს;

დაინერგა შემოსავლების სამსახურსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოს შორის ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის სისტემა.

აღნიშნული გულისხმობს, შემოსავლების სამსახურის სახელმწიფო ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის ჩატარების აქტების ელექტრონულ სისტემაში, სურსათის ეროვნული სააგენტოს პირდაპირ დაშვებას (გაუმჯობესდა უწყებათაშორისი კომუნიკაცია);

განახლდა საკარანტინო მავნე ორგანიზმების ნუსხა, სადაც გათვალისწინებულია 2000/29 EC დირექტივის და ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების - EPPO-ს A1 და A2 ნუსხები;

ჩამოყალიბდა ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ახალი ნუსხა, რომელიც მიახლოებულია 2000/29 EC დირექტივის კონტროლქვემდებარე საქონლის ნუსხებთან და ამასთან გათვალისწინებულია ISPM 32;

ჩამოყალიბდა იმპორტის მოთხოვნები საქართველოში შემოსატანი მცენარეებისა და მცენარეული პროდუქციისათვის (მაგნე საკარანტინო ორგანიზმებისა და მასპინძელი მცენარის/მცენარეული პროდუქციის მიხედვით);

გაიწერა აკრძალვები იმპორტზე (მაგ.: ნიადაგი, დაუმუშავებელი ნაკელი, ბამბის ბოჭკოს ნარჩენები, იზოლირებული ხის ქერქი და სხვადასხვა მცენარეების სარგავი მასალა კანადიდან, აშშ-დან, მექსიკიდან და სამხ. ამერიკიდან);

გამარტივდა და დარეგულირდა ტრანზიტის საკითხი 2000/29 EC დირექტივისა და ISPM 25 - ის შესაბამისად; კერძოდ, ფიტოსანიტარიულ კონტროლს დაექვემდებარა მხოლოდ ის ტრანზიტული ტვირთი, რომლებიც გადაადგილებისას პოტენციურად ქმნიან მავნე ორგანიზმების გავრცელების რისკს (მაგ., ღია სატრანსპორტო საშუალებები, დაუღუქავი ტვირთები და სხვა);

ვეტერინარული სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურების დახვეწისა და მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავდა ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა, რომელიც ნაწილობრივ შეესაბამება 2007/275 ევროკავშირის კომისიის გადაწყვეტილებას.

სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება

2014 წლის განმავლობაში ეტაპობრივად ხორციელდებოდა საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტების და გაფორმების ეკონომიკური ზონის თანამშრომლების ეტაპობრივი გადამზადება მათი საჭიროებიდან და საკანონმდებლო ცვლილებებიდან გამომდინარე;

საბაჟო დეპარტამენტში განხორციელდა ელექტრონული სწავლების სისტემის დაინერგვა როგორც საბაჟო დეპარტამენტის სტაჟიორებისთვის, ასევე თანამშრომლებისთვის; სისტემა გამოყენებული იქნა როგორც სტაჟიორების მომზადების, ასევე თანამშრომლების ცოდნისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლების მიზნით; ელექტრონული სწავლებით პრიორიტეტული თემების გავლის შემდეგ, რიგ საბაჟო გამშვებ პუნქტებზე მომუშავე

თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტესტირებები. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება 2015 წელს და შეეხება სხვა სტრუქტურულ ერთეულებსაც; ასევე დაგეგმილია, რომ ელექტრონული სწავლების სისტემა გამოყენებულ იქნას საკანონმდებლო სიახლეების გაცნობის მიზნითაც;

აშშ - ის მთავრობის INL - ის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით, 2014 წელს აშშ - ის ქ. ვაშინგტონის პოლიციის კინოლოგიის ბაზაზე, გადამზადებულ იქნა საბაჟო გამშვები პუნქტის „თბილისის აეროპორტი“ ორი მებაჟე-ოფიცერი, რომლებსაც, პროგრამის ფარგლებში, გადაეცათ ნარკოტიკების ძიებაზე გაწვრთნილი ორი სამსახურებრივი ძაღლი;

ჩამოყვანილ იყვნენ ამერიკელი ინსტრუქტორები, რომლებმაც საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის ცენტრის 25 თანამშრომელს ჩაუტარეს შესაბამისი ტრენინგი.

სტატისტიკა

2014 წლის განმავლობაში გაფორმდა **236,241** სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია; მათ შორის: ექსპორტის სასაქონლო ოპერაციაში გაფორმდა **28,643**, იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში - **192,055**; ხოლო სხვა სასაქონლო ოპერაციებში - **15,543** სასაქონლო საბაჟო დეკლარაცია. 2014 წელს საფოსტო გზავნილების რეესტრში რეგისტრირებულია **2,034,923** ამანათი; მათ შორის, დადეკლარირებულია **83,308** ამანათი;

- ▶ გაცემულია **123** წინასწარი გადაწყვეტილება საქონლის მიმართ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად, სასაქონლო კოდის ან წარმოშობის ქვეყნის განსაზღვრის შესახებ;
- ▶ განხორციელდა **13,141** სასაქონლო ექსპერტიზა.

საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმება

- ▶ ლურჯ დერეფანში შესამოწმებლად მოხვედრილია **4,174** დეკლარაცია; აქედან: შემოწმება დასრულებულია **3,569** დეკლარაციაზე; ამჟამად შემოწმება მიმდინარეობს **528** დეკლარაციაზე.
- ▶ ბრძანებით დაინიშნა **85** კამერალური შემოწმება; აქედან: **38** კამერალური შემოწმება დასრულებულია; **30** კამერალური შემოწმება მიმდინარე პროცესშია; **17** კამერალური შემოწმება შეჩერებულია (გადამხდელისგან და უცხოეთიდან ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, ან შედგენილია შუალედური აქტი და გაგზავნილია საგამოძიებო სამსახურში);

შედგენილია **75** აქტი და **14** აქტის პროექტი, სულ აქტით დარიცხვამ შეადგინა **1,052,693** ლარი, ხოლო აქტის პროექტით სავარაუდოდ დასარიცხი თანხა შეადგენს **250,859** ლარს; სულ ჯამში **1,303,552** ლარი. (აქედან ლურჯ დერეფანში მოხვედრილ დეკლარაციებზე შედგენილია **22** აქტი); შედგენილია **21** აქტი გაფორმების ორგანოში ჩასწორების მიზნით.

გაიცა შემდეგი სახის ნებართვები და საქონლის წარმოშობის სერტიფიკატები:

- ▶ არაიოდირებული მარილის იმპორტის ნებართვა - **383** ცალი;
- ▶ ორმაგი დანიშნულების პროდუქციის იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა - **1,923** ცალი; დარიცხული მოსაკრებელი – **57,690** ლარი ჩაირიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში;
- ▶ საბაჟო საწყობის საქმიანობის **35** ნებართვა - შესაბამისად ბიუჯეტში გადახდილია **35,000** ლარი;
- ▶ საქონლის არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი - **1,212** ცალი;
- ▶ საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი CT-1 – **3,493** ცალი;
- ▶ საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 – **1,778** ცალი; მათ შორის, საქართველოდან ევროკავშირში საქონლის ექსპორტზე - **720** ცალი სერტიფიკატი EUR.1;
- ▶ საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი „ფორმა A“ – **505** ცალი.

საბაჟოზე განხორციელებული სანიტარული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლი

ვეტერინარული სასაზღვრო კონტროლისას, იმპორტისთვის განკუთვნილი სურსათის **62** სასაქონლო პარტიაში გამოვლინდა დარღვევები; აქედან **27** პარტია გაბრუნდა უკან, ხოლო **35** პარტია დაექვემდებარა განადგურებას. ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლისას იმპორტისთვის განკუთვნილი სურსათის **56** სასაქონლო პარტიაში გამოვლინდა დარღვევები; აქედან **39** პარტია გაბრუნდა უკან, ხოლო **17** პარტია დაექვემდებარა განადგურებას.

ლაბორატორიულ კვლევას დაექვემდებარა:

- ▶ ვეტერინარული კონტროლის განხორციელებისას – **905** ნიმუში;
- ▶ ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელებისას – **803** ნიმუში.

სანიტარულ - საკარანტინო კონტროლი

სასაზღვრო კონტროლის ზონაში სანიტარულ - საკარანტინო კონტროლის განხორციელებისას **პოლიომიელიტზე ვაქცინაციას** დაექვემდებარა რისკის ჯგუფის ქვეყნებიდან გადაადგილებული **297** პირი; **ებოლას ვირუსის** რისკის ჯგუფის ქვეყნებიდან რეგისტრირებულია **97** გადაადგილებული პირი, რომლებიც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის მიერ დაექვემდებარნენ ეპიდემიოლოგიურ მეთვალყურეობას.

სანიტარული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის განხორციელების მიზნით გაცემულია:

- ▶ ფიტოსანიტარულ კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა - **1,059** ცალი;

- ▶ ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველური წარმოშობის პროდუქციის იმპორტის ნებართვა - **183** ცალი;
- ▶ ვეტერინარული სერტიფიკატი - **8** ცალი;
- ▶ რეექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი - **214** ცალი;
- ▶ ექსპორტის ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი - **1,878** ცალი;
- ▶ გემის სანიტარული კონტროლისაგან გათავისუფლების მოწმობა - **98** ცალი;
- ▶ ვაქცინაციის საერთაშორისო მოწმობა - **302** ცალი.

საქონლის ან/და სატრანსპორტო საშუალების სკანირება

2014 წლის ივნისიდან 31 დეკემბრამდე დასკანერდა **72,319** სატრანსპორტო საშუალება. გამოვლენილი იქნა **17** კანონდარღვევა (არადეკლარირებული საქონელი), რომელიც, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა საგამოძიებო ორგანოებს;

სკანირებით გამოვლენილი დარღვევების (არადეკლარირებული საქონელი, დაზიანებული ლუქი) შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ დარიცხულმა ჯარიმებმა შეადგინა **33,600** ლარი.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში

შემოსავლების სამსახურის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეესტრში დარეგისტრირდა **134** ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი - სასაქონლო ნიშანი;

საბაჟო დეპარტამენტის მიერ საქონლის შეჩერების შესახებ გამოიცა **43** ბრძანება; აქედან, **24** შემთხვევაში უფლების მფლობელსა და საქონლის მფლობელს შორის შედგა შეთანხმება საქონლის განადგურების თაობაზე; განადგურდა **40,343** ლარის ღირებულების საქონელი. **7** შემთხვევაში უფლების მფლობელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში საქონელი გაშვებულ იქნა, რადგან არ/ვერ დადგინდა საქონლის კონტრაფაქციულობა ან უფლების მფლობელმა სარჩელი არ შეიტანა სასამართლოში.

გამოვლენილ იქნა საბაჟო საზღვარზე საქონლის უკანონო გადაადგილების შემდეგი ფაქტები:

- ▶ ყოჩივარდას გორგლების ექსტრაქტი (**97.2** ლიტრი);
- ▶ საფოსტო ამანათის ნაწილში - გველის ტყავის (Pythonidae) მასალისაგან დამზადებული ჩანთა;
- ▶ საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“ ცხოველის დერივატები - საიგის რქები;
- ▶ საბაჟო გამშვებ პუნქტში „ყაზბეგი“ მტაცებელი ფრინველი „კაკარა“;

- ▶ საბაჟო გამშვებ პუნქტში „ვალე“ - დამუშავებული დათვის ტყავი;
- ▶ საფოსტო ამანათში - სპილოს ძვალი;
- ▶ ირმის თავის ფიტული;
- ▶ ზუთხი - **104** ფაქტი (სულ **468,700** კგ.).

სულ CITES კონვენციის საფუძველზე - **111** ფაქტი.

ოზონდამშლელი ნივთიერებების გამოვლენის 3 ფაქტი:

- ▶ ფოსტაში - **1** ბალონი აკრძალული ოზონდამშლელი ნივთიერება R-12;
- ▶ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში - **30** ბალონი გაყალბებული R-134a.
- ▶ გაფორმების ეკონომიკურ ზონაში **70** ბალონი გაურკვეველი ნივთიერება და **100** ბალონი (1 კგ-იანი) R-22 (უნებართვო).

ოზონდამშლელი ნივთიერებების გაყალბების გამოვლენის ფაქტებთან დაკავშირებით, ქ. სარაევოში გამართულ ევროპისა და შუა აზიის ოზონის რეგიონული ქსელის შეხვედრაზე, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი დაჯილდოვდა სერტიფიკატითა და ოქროს მედლით.

გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში, მებაჟეებისათვის დაიბეჭდა სამახსოვრო ბროშურები და ოზონდამშლელი ნივთიერებების საცნობარო პლაკატები.

“ASYCUDA”-ში დაშვება

მონაცემთა ავტომატიზებულ სისტემაში “ASYCUDA” 2014 წლის განმავლობაში დაშვებულია **172** ორგანიზაცია.

სავალუტო კონტროლი

დაფიქსირდა **30,000** ლარზე (ან მის ექვივალენტზე სხვა ვალუტაში) მეტი თანხის დეკლარირების **4,167** ფაქტი.

საწყობები და თავისუფალი ვაჭრობის პუნქტები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 14 ნოემბრის N 47348 ბრძანების საფუძველზე, სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, შემოწმდა **84** საბაჟო საწყობი;

სანებართვო პირობების დარღვევისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით დაჯარიმდა **31** საწყობი.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ, გამოვლენილი სამართალდარღვევები

- ▶ საგადასახადო სამართალდარღვევა - **9,702**;
- ▶ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - **1,271**;
- ▶ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოსათვის გადაცემული საქმის მასალები - **322**.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ,
2014 წელს გამოვლინდა **11,282**
სამართალდარღვევის ფაქტი.

გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან დაფიქსირდა არადეკლარირებული საქონლის შემოტანის - **1,777** მცდელობა. **309** შემთხვევაში საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეცა საგამოძიებო ორგანოს; მათ შორის:

- ▶ ძვირფასი ლითონებისა და ქვების შემოტანის **35** ფაქტთან დაკავშირებით;
- ▶ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შემოტანის **244** ფაქტთან დაკავშირებით;
- ▶ იარაღის შემოტანის **11** ფაქტთან დაკავშირებით.

გამოვლენილი სამართალდარღვევებიდან დაფიქსირდა გადასახდელების შემცირების **162** ფაქტი; დარიცხული სატარიმო თანხის ოდენობა შეადგენს **302,542** ლარს.

ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ 2014 წელს საბაჟო გამშვებ პუნქტებში გამოვლენილი სამართალდარღვევები (ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები, ძვირფასი ლითონები და ქვები, იარაღი)

სამართალდარღვევების რაოდენობა



ნარკოტიკული და ფსიქოტროპული
საშუალებები - **228**



ძვირფასი ლითონები და ქვები
151



იარაღი
17

ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებებზე დატარიმებული მოქალაქეები

უპრაონა	საქართველო-სირია	პანდა	ვგვივძე	გერმანია	ავსტრალია	სერბეთი	საბერძნეთი	იტალია	დიდი ბრიტანეთი	საფრანგეთი	აშშ	ერაყი	აზერბაიჯანი	რუსეთი	სომხეთი	თურქეთი	საქართველო	ირანი
1	1	1	1	1	1	2	2	2	2	4	4	6	10	17	21	46	47	59

იარაღზე დატარიმებული მოქალაქეები

აზერბაიჯანი



1

რუსეთი



1

სომხეთი



2

საქართველო



6

თურქეთი




7

ძვირფას ლითონებზე და ქვებზე დატარიმებული მოქალაქეები

ერაყი	ყაზახეთი	თურქეთი	რუსეთი	სომხეთი	საქართველო	აზერბაიჯანი
1	2	5	26	33	40	44

სამართალდარღვევების რაოდენობა თვეების მიხედვით



სამართალდარღვევების რაოდენობა საბაჟო გამშვები პუნქტების მიხედვით

საბაჟო	სარფი	ვაჟე	სადასახლო-საგზაო მოძრაობით	გაგზაობით	წინონიშნულად	სადასახლო-საგზაო მოძრაობით	ყაზახში	წითელი ხილი	ლაგოდეხში	მთავარი	ბარდაბანი	თბილისის აეროპორტი	ჭუთაიასის აეროპორტი	ბათუმის აეროპორტი	ბათუმის პორტი
ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები	80	70	24	2	4	1	15	11	5	2	0	4	0	9	1
ძვირფასი ლითონები და ქვები	73	5	32	3	17	0	6	5	4	1	0	5	0	0	0
იარაღი	7	6	0	1	2	0	1	0	0	0	0	0	0	0	0

შემოსავლების სამსახურის აპარატი

საქმისწარმოების სამმართველო

შემოსავლების სამსახურის
edocument პროგრამაში,

2014 წლის მონაცემებით,
რეგისტრირებულია:

145,371 შემოსული წერილი,

133,656 შიდა მიმოწერა,

54,801 ბრძანება,

84,746 გასული წერილი.

დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში განხორციელდა ცვლილებები; კერძოდ, რეესტრში გამოჩნდა ადრესატი და გაფართოებული ძებნის კონტროლის ველში შესაძლებელი გახდა ვადაში შესრულებული და ვადაგადაცვლიებით შესრულებული წერილების გაფილტვრა. ბაზაში აიტვირთა თანამშრომელთა ფაქსიმილიები. ამასთან, მუდმივად ხდება მონიტორინგი სისტემაში რეგისტრირებულ კორესპონდენციაზე.

2014 წელს, ამოქმედდა შპს „საქართველოს ფოსტის“ სპეციალური პარამეტრების მქონე ელექტრონული მართვის პროგრამა. აღნიშნული პროგრამის გამოყენებით შესაძლებელია, თითოეულ გაგზავნილ წერილზე, სამსახურმა მიიღოს ინფორმაცია გზავნილის მოძრაობის, მისი ჩაბარებისა და/ან უკან დაბრუნების მიზეზის შესახებ.





ადამიანური რესურსების მართვა

შერჩევა, კონკურსი

საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის hr.gov.ge მეშვეობით, შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში არსებულ **624** ვაკანტურ თანამდებობაზე (მათ შორის, იმ თანამდებობებზე, რომლებზეც დანიშნულნი იყვნენ მოვალეობის შემსრულებლები, კონკურსის შედეგების მიხედვით, მოხელის თანამდებობაზე დანიშვნამდე) გამოცხადდა კონკურსი, შემოვიდა **18 521** მსურველის აპლიკაცია, შეფასების ეტაპებით (აპლიკაციების გადარჩევა/შეფასება/ტესტირება/გასაუბრება) შეირჩა და თანამდებობაზე დაინიშნა **492** პირი.

დაინერგა ტესტირების ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობით თანამშრომლებს და შემოსავლების სამსახურში დასაქმების მსურველებს უტარდებათ პროფესიული და უნარების საკვლევი ტესტირება; სხვადასხვა დროს აღნიშნული პროგრამის მოდულებით ისარგებლა და ტესტირება გაიარა **6 076** მომხმარებელმა.

სტრუქტურული ერთეულები	გამოქვეყნებული განაცხადის რაოდენობა	ვაკანსიის რაოდენობა	შემოსული განაცხადის რაოდენობა	შერჩეული კონკურსანტების რაოდენობა	ტესტირების რაოდენობა	ჩატარებული გასაუბრების რაოდენობა	შერჩეული კანდიდატების რაოდენობა
აუდიტის დეპარტამენტი	37	139	1,802	139	28	38	64
ადმინისტრაციული დეპარტამენტი	22	24	2,253	26	0	22	21
საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	40	81	2,323	97	11	40	64
დავების დეპარტამენტი	5	8	421	22	0	5	8
სამსახურის აპარატი	7	10	1,026	10	0	7	10
სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი	3	4	150	4	0	3	3
იურიდიული დეპარტამენტი	9	11	1,179	11	0	6	8
საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	3	3	278	2	2	3	2
ადმინისტრირების დეპარტამენტი	34	56	800	54	0	34	51
მომსახურების დეპარტამენტი	38	47	2,770	77	13	38	44
საბაჟო დეპარტამენტი	103	237	5,365	311	71	103	215
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	3	4	154	2	0	3	2
სულ:	304	624	18,521	755	125	302	492

სტრუქტურული ერთეული	საბაჟო დეპარტამენტი	აუდიტის დეპარტამენტი	მომსახურების დეპარტამენტი	საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი	საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი	დავების დეპარტამენტი	ადმინისტრირების დეპარტამენტი	იურიდიული დეპარტამენტი	საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	ჯამური რაოდენობა
პროფესიული ტესტი	2,651	151	66	0	0	0	0	6	0	2,874
უნარების საკვლევი ტესტი	629	360	1,152	477	117	183	103	0	187	3,208

სტაჟირების ორგანიზება

ერთიანი საკადრო პოლიტიკის გასატარებლად, კადრების რეზერვის შექმნის ხელშეწყობის, პოტენციური თანამშრომლის მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის hr.gov.ge მეშვეობით, სტაჟიორების შესარჩევად გამოცხადდა კონკურსი (შემოვიდა **3,610** განაცხადი) და კონკურსის შედეგად (აპლიკაციების გადარჩევა/ტესტირება/გასაუბრება) შეირჩა და სწავლება გაიარა **287** სტაჟიორმა (თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის ფორმით).

სტრუქტურული ერთეული	საბაჟო დეპარტამენტი	აუდიტის დეპარტამენტი	მომსახურების დეპარტამენტი	სამართალრიის ურთიერთობათა დეპარტამენტი	საგარეო დეპარტამენტი	ალმინისტრაციის დეპარტამენტი	იურიდიული დეპარტამენტი	საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი	ზამთრი რაოდენობა
რაოდენობა	233	2	28	1	5	5	4	9	287

საჯარო დაწესებულებაში დასაქმების მსურველ პირთათვის პროფესიული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობის შექმნისა და შესაბამისი პროფილის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებით.

დამტკიცებული სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებში, სტაჟირება გაიარა საქართველოს სხვადასხვა წამყვანი უნივერსიტეტის 105 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა.

სწავლება

კვალიფიკაციის ასამაღლებელი პროფესიული ტრენინგი ჩატარდა შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის **662** თანამშრომელს.





ელექტრონული სწავლების პორტალი /e-learning/

შემოსავლების სამსახურის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად მომზადდა, განახლდა და ელექტრონული სწავლების პორტალზე /e-learning/ განთავსდა:

- ▶ საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებისთვის/სტაჟიორებისთვის საბაზისო სასწავლო კურსი;
- ▶ თვითშეფასების კითხვარი და ტესტები, თემების შესაბამისად;
- ▶ მომსახურების, აუდიტისა და საბაჟო დეპარტამენტების, ასევე კინოლოგიური ცენტრის, ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და სანიტარული კონტროლის მიმართულებით საბაზისო კურსი;
- ▶ საბაჟო დეპარტამენტის საბაჟო გამშვები პუნქტებისა და გაფორმების ეკონომიკური ზონების თანამშრომელთა პროფესიული განვითარების/გადამზადების/ცოდნის ამაღლებისა და ხელშეწყობის მიზნით, შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სწავლების პორტალზე ატვირთული კურსის შესაბამისად (თემა: "გადასახდელები, საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული პრეფერენციები და მომსახურების საფასურები", "საგადასახადო სამართალდარღვევები საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას. საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი და სანქციის აღსრულების ღონისძიებები" და "საგადასახადო სფეროში ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის სამართალდარღვევები") გადამზადდა და საკვალიფიკაციო ტესტირება ჩატარდა **346** თანამშრომელს და **116** სტაჟიორს.

პრაქტიკის გავლის ორგანიზება

შემოსავლების სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში (საბაჟო, აუდიტის, საგადასახადო მონიტორინგის, მომსახურების, იურიდიული, საერთაშორისო ურთიერთობათა და დავების დეპარტამენტები) სასწავლო პრაქტიკა გაიარა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლისა და პროფესიული კოლეჯის 318 სტუდენტმა.

თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა

2014 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჩატარდა თანამშრომელთა აზრის კვლევა ჯანმრთელობის დაზღვევის სერვისისა და ანაზღაურების შესახებ; კვლევაში მონაწილეობა მიიღო **660**-მა თანამშრომელმა. სწორედ, მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადდა თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სატენდერო წინადადება; ელექტრონული ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე, შეიცვალა სადაზღვევო კომპანია. ახალ სადაზღვევო კომპანიაში დაზღვევის სურვილი გამოთქვა **4,500** პირმა (**3,152** - თანამშრომელი და **1,348** - ოჯახის წევრი).

საანგარიშო პერიოდში მომზადებულია:

- ▶ საკადრო გადაადგილების შესახებ - **1,263** ბრძანება;
- ▶ მივლინების შესახებ - **1,077** ბრძანება;
- ▶ წახალისების შესახებ - **145** ბრძანება;
- ▶ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ - **117** ბრძანება;
- ▶ შტატგარეშე მოსამსახურეებთან - **464** ხელშეკრულება/ ურთიერთშეთანხმება;
- ▶ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან შემოსულ წერილებზე - **154** შესაბამისი პასუხი;
- ▶ ცნობა სამუშაო ადგილის შესახებ - **1,568** (მოქმედ/ ყოფილ თანამშრომლებსა და სტაჟიორებზე).

ინდივიდუალური - სამართლებრივი აქტები

მომზადდა და დამტკიცდა:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის შინაგანაწესი“

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის სისტემაში სტაჟირების გავლის წესი“

ადმინისტრირება:

შემოსავლების სამსახურის თანამშრომლების 2014 წლის მონაცემები (ინფორმაცია, ელექტრონული ვერსია, დასკანერებული დოკუმენტაცია) აისახა ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შექმნილი ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებულ სისტემაში - eHRMS.

განხორციელებული ღონისძიებები

საგადასახადო სფეროში მიმდინარე რეფორმებისა და სიახლეების შესახებ საზოგადოების პერმანენტული ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, 2014 წელს განხორციელდა საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიები რამდენიმე თემატურ საკითხზე; მათ შორის, ყველაზე ხანგრძლივი და მასშტაბური კამპანია განხორციელდა დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების თემაზე.

2014 წელს დაბრუნებული დაუბეგრავი მინიმუმის ჯამური თანხა - 128,354.3 ლარი.




კამპანიის მიმდინარეობისას, მედია საშუალებებში პერმანენტულად აისახებოდა ინფორმაცია დაუბეგრავი მინიმუმის შესახებ; განსაზღვრული იყო პოტენციურ ბენეფიციართა სრული ჩართვის გზები და შესაძლებლობები. ამ მიზნით მომზადდა და ტელე ეთერში განთავსდა თემატური ვიდეო რგოლი;

განხორციელდა საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის - EUR.1- აქტიური საინფორმაციო-საკომუნიკაციო კამპანიები.

ამასთან, 24 თებერვალს, დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის მექანიზმებთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურსა და კომერციულ ბანკებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

აღსანიშნავია, რომ მუდმივად მიმდინარეობს ახალი ელექტრონული სერვისებისა და სხვადასხვა სიახლეების შესახებ ინფორმაციის დამუშავება/მომზადება და მიზნობრივი აუდიტორიისათვის სათანადო ფორმით, სწორი არხებით და ინტენსივობით მიწოდება;

2014 წელს, თბილისში, გაფორმების ეკონომიკურ ზონა „თბილისი-2“ გაიხსნა



2014 წლის 3 ივლისს, ჟურნალისტებმა საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“ და გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი“ დაათვალიერეს

8-10 აგვისტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივით (EPI) მედიის წარმომადგენლებისათვის ყაზბეგში, ფოთსა და ბათუმში



ერთობლივი სემინარი გაიმართა. სემინარის მიზანი იყო მედიის ინფორმირებულობის გაზრდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ფუნქციების, მნიშვნელობის, მის მიერ გადამხდელებისათვის შეთავაზებული თანამედროვე სერვისების შესახებ.

მცენარეული წარმოშობის ფსიქოტროპული ნივთიერებების (ე.წ. „სფაისები“) ინტერნეტის საშუალებით შესყიდვების, ასევე საფოსტო გზავნილებისა და მგზავრების მიერ სინთეზური ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანის ფაქტების საგანგაშო ზრდასთან დაკავშირებით, დაიგეგმა და განხორციელდა ეფექტური საინფორმაციო კამპანია;

2014 წლის 5 მაისს, გაფორმების ეკონომიკური ზონის „თბილისი 2“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 35 კილოგრამი ბიო, ე.წ. „სფაისი“ განადგურდა.



16 მარტს, საბაჟო გამშვები პუნქტი „წითელი ხიდი“ მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა კუნიო მიკურიაშ დაათვალიერა.

**შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები
არაერთ სოციალურ პროექტში
მონაწილეობენ**

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

პროექტის „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“ ფარგლებში, სისხლის უანგარო გაღების აქციაში შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა



2014 წელს, თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის საბაჟო ადმინისტრაციების ხელმძღვანელების კონფერენცია გაიმართა.



შემოსავლების სამსახურში პროფესიონალი კადრების შერჩევის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, მედია საშუალებებით გაშუქდა სტუდენტთა მონაწილეობა დასაქმების რიგით მეექვსე ფორუმში, რომელიც სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“ გაიმართა. მოეწყო შესაბამისი სივრცე, მომზადდა საჭირო საინფორმაციო მასალა და მიეწოდა ფორუმის მონაწილეებს.



26 იანვარს საერთაშორისო საბაჟოს დღის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა




შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო გამოვლინების რაოდენობრივი მარკენებელი ყველა მედიაში

ობიექტების რაოდენობრივი მარკენებელი

პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31

სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ

მედი: ყველა




შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო გამოვლინების განთავსების მარკენებელი ტელევიზიაში

ობიექტების რაოდენობრივი მარკენებელი

პერიოდი: 2014-01-01 - 2014-12-31


სტატიის ტიპი: ინფორმაცია, ინტერვიუ

მედი: ყველა



შემოსავლების სამსახურის აპარატის მიერ დამუშავდა კორპორაციული ნივთების დიზაინი; გადამხდელებისთვის მომზადდა სხვადასხვა სახისა და შინაარსის საინფორმაციო ბროშურები;

განხორციელდა შემოსავლების სამსახურის საიმიჯო ფოტო/ვიდეო გადაღებები.



2014 წლის განმავლობაში, შემოსავლების სამსახურის Facebook გვერდზე აიტვირთა 35 ვიდეო და გამოქვეყნდა 305 ახალი ამბავი.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლების სამსახურის Facebook გვერდს ჰყავდა 17 740 მომხმარებელი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი

გადასახადის გადამხდელის ელექტრონული სერვისები

**საგადასახადო კალენდარი -
გადამხდელისათვის შეიქმნა
საგადასახადო დეკლარირების საგადო
თარიღების შესახებ შეხსენებების მიღების
ელექტრონული სერვისი.**

გადამხდელს, სურვილის მიხედვით, აქვს საშუალება, მიიღოს შეხსენება დეკლარირების საგადო თარიღის მოახლოების თაობაზე. საგადო თარიღის დადგომიდან 3 დღით ადრე, გადამხდელის მიერ მითითებული მობილური ტელეფონის ნომერზე, იგზავნება შეტყობინება დეკლარაციის დასახელების და საგადო თარიღის შესახებ. აღნიშნული სერვისი საშუალებას აძლევს გადამხდელს, იყოს ინფორმირებული მოსალოდნელი დეკლარირების თარიღების შესახებ და თავიდან აიცილოს დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენის ალბათობა.

გადასახადის გადამხდელის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება - გადამხდელის გვერდს დაემატა ახალი მოდული, რომლის საშუალებითაც გადამხდელი საგადასახადო ორგანოს მიაწოდებს იმ საქმიანობების ჩამონათვალს (NACE კოდების კლასიფიკატორის მიხედვით), რომლებსაც ახორციელებს; ასევე აღნიშნული მოდულიდან უნდა განისაზღვროს გადამხდელის ძირითადი საქმიანობა.

ელ. სასაქონლო ზედნადების და ელ. საგადასახადო ა/ფაქტურის სერვისის ცვლილებები - განხორციელდა ცვლილებები, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ რეორგანიზაციის შედეგად შერწყმული (ლიკვიდირებული) ორგანიზაციების მიერ წარმოებული ელ. ს/ზედნადების და ა/ფაქტურების რეესტრის დათვალიერება განხორციელოს სამართალმემკვიდრე ორგანიზაციამ; ელ. სასაქონლო ზედნადების მოდულს გადაზიდავი კომპანიებისათვის დაემატა ახალი ფუნქცია, რაც სასაქონლო ზედნადების გამოწერის არსებულ პროცესში გადაზიდავი კომპანიის მონაწილეობას ითვალისწინებს. გადაზიდავ კომპანიას ეძლევა საშუალება, საქონლის გადაზიდვის პროცესში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში, განხორციელოს სასაქონლო ზედნადების მიღება/დათვალიერება და მიუთითოს ტრანსპორტირების დაწყების დრო; მოახდინოს ზედნადების აქტივაცია. ავტომატური ნომრების ცვლილებასთან დაკავშირებით, სასაქონლო ზედნადებებში და სპეც. ა/ფაქტურებში განხორციელდა სათანადო ცვლილებები. სისტემა საშუალებას იძლევა, სწორ ფორმატში, განხორციელდეს მანქანის ნომრის მითითება; ელ. საგადასახადო ა/ფაქტურის მოდულს დაემატა ა/ფაქტურის გაუქმება და, გაუქმებული ფაქტურის სანაცვლოდ, ახალი ა/ფაქტურის გამოწერის სერვისი. აღნიშნული პროცესი ასევე ითვალისწინებს საგადასახადო ორგანოში ა/ფაქტურის გაუქმების თაობაზე განაცხადის წარდგენას.



საბაჟოზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ შეტყობინებების SMS-ით მიღება - გადამხდელის პორტალს დაემატა, საბაჟოზე განხორციელებული იმპორტ/ექსპორტის ოპერაციების თაობაზე, მოკლე ტექსტური შეტყობინებების (SMS) მიღების მართვის მოდული,

რომლის საშუალებითაც ხდება გადამხდელის ინფორმირება საბაჟო პუნქტში არსებული ტვირტის მდგომარეობის შესახებ.

ელექტრონული დეკლარირების სერვისი - განახლდა ელექტრონული დეკლარირების სერვისი. სერვისს დაემატა ახალი დეკლარაციები (მოგების დეკლარაცია, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის 3-თვიანი ლიცენზიის რეგისტრირება და დეკლარირება). განახლებული ვერსია საშუალებას მისცემს გადამხდელს, მოახდინონ ელექტრონული დეკლარირების სერვისის ჩაშენება საბუღალტრო პროგრამებში, რაც საგრძნობლად გაამარტივებს დეკლარირების პროცესს. დეკლარირების სერვისს ასევე დაემატა ინფორმაციული გვერდი - გადმოუგზავნელი (არწარმოდგენილი) დეკლარაციების შესახებ მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია უზრუნველყოფს გადამხდელის ინფორმირებას ასეთი სახის დეკლარაციების არსებობაზე და უზრუნველყოფს დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენის პრევენციას.

ბაზრის და ბაზრობების ორგანიზებისას მოიჭარე პირების რეესტრის წარმოება - აღნიშნული სერვისით საგადასახადო ორგანოში ხდება იმ მოიჭარე პირების რეესტრის წარდგენა, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას სავაჭრო ობიექტებზე და ბაზრობებზე; მოიჭარეთა რეესტრის წარდგენის ვალდებულება აქვს ბაზრის და ბაზრობების მომწყობ გადამხდელს.

გადამხდელის ნდობით აღჭურვილი პირების შესახებ ინფორმაცია - განხორციელდა ცვლილება არსებულ მოდულზე; გადამხდელს ეძლევა საშუალება, პორტალიდან წარადგინოს მისი ნდობით აღჭურვილი პირის შესახებ ინფორმაცია, ატვირთოს მინდობილობა და გააკონტროლოს მინდობილობის მოქმედების ვადები. საგადასახადო ორგანოს მიერ აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება უზრუნველყოფს გადამხდელის შესახებ მონაცემების გაცემას მხოლოდ ნდობით აღჭურვილ პირებზე.

ზოგადი ინფორმაცია გადამხდელის შესახებ - პორტალზე გადამხდელისათვის არსებულ ზოგად ინფორმაციას დაემატა საკონტროლო-სალარო აპარატებიდან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი ყოველდღიური „Z-ანგარიშგები“-ს შესახებ მონაცემები და გადამხდელის მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი განაცემების შესახებ ყოველთვიური გაანგარიშებების მიხედვით არსებული რეესტრები, თანამშრომლებზე გაცემული განაცემების შესახებ. პორტალზე აღნიშნული ანგარიშგების არსებობა გადამხდელს უმარტივებს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებას.

„ნავთობის ელექტრონული ჟურნალი“ - შეიქმნა ახალი პროგრამული მოდული, რომლის საშუალებით ნავთობპროდუქტების რეალიზატორი კომპანიები განახორციელებენ ყოველდღიურ აღრიცხვას, თითოეული ბენზინგასამართი სადგურისა და რეალიზებული პროდუქციის მიხედვით.

Duty Free ელექტრონული ჟურნალი - სერვისი უზრუნველყოფს თავისუფალი ვაჭრობის პუნქტებში, Duty Free-ს სტატუსის მქონე გადამხდელის მიერ, ანგარიშსწორების ფორმების ელექტრონული ვერსიების წარმოებას.


დაუბეგრავი მინიმუმის გამოსაქვითი თანხის დაბრუნებისათვის ელექტრონული დეკლარაციის წარდგენა - ელექტრონული სერვისი წარმოადგენს სრულად ავტომატიზირებულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეებისათვის დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის დეკლარაციის წარდგენის პროცესს. აღნიშნული სერვისი გულისხმობს დასაბრუნებელი თანხის კონტროლს, მოქალაქის საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშის შემოწმებას, წარდგენილი დეკლარაციის აღრიცხვას და სახაზინო სამსახურისთვის საგადასახადო დავალებების ფორმირებას. აღნიშნული სერვისი საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, სახლიდან და საბანკო დაწესებულებებიდან, განახორციელონ დეკლარაციის წარდგენა და, მოკლე ტექსტური შეტყობინებით, მიიღონ ინფორმაცია თანხის დაბრუნების შესახებ.

ჰუმანიტარული სტატუსის იმპორტირებულ საქონელზე განაშთვის დეკლარაცია - გადამხდელის გვერდზე ჰუმანიტარული სტატუსის გადამხდელებისათვის განხორციელდა იმპორტირებული საქონლის განაშთვის დეკლარაციის წარდგენის ორგანიზება. აღნიშნული დეკლარაციით ხდება იმპორტირებული საქონლის განაშთვაზე კონტროლი და საგადასახადო ორგანოს ინფორმირება.

გადამხდელის პორტალზე განხორციელებული სიახლეები - გადამხდელის პორტალის ქვემოთხმარებლისთვის შესაძლებელი გახდა კონკრეტული განცხადების რეგისტრაციის უფლების მინიჭება; უზრუნველყოფილ იქნა ახალი რეგისტრირებული გადამხდელებისათვის, პორტალის მომხმარებლის აქტივაციისას "მისაღმების" შეტყობინების გაგზავნა, რაც გულისხმობს გადამხდელის ინფორმირებას მისი საგადასახადო ვალდებულებების თაობაზე. ასევე უზრუნველყოფილ იქნა საჯარო რეესტრიდან გადამხდელზე ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, ავტორიზებული მომხმარებლისათვის ელექტრონულ პორტალზე სათანადო შეტყობინების გაგზავნა;

WIKI.RS.GE საინფორმაციო საკონსულტაციო პორტალი - გადამხდელებისათვის და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისათვის, შეიქმნა საინფორმაციო საკონსულტაციო სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია, დაათვალიერონ დოკუმენტები და დატოვონ კომენტარები.

სისტემა წარმოადგენს, გადასახადების და დოკუმენტების კატეგორიების მიხედვით, საბაჟო და საგადასახადო მასალების ორგანიზებულ საცავს.




შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო ვებგვერდი - განხორციელდა საინფორმაციო ვებგვერდის დიზაინის ცვლილება; განახლდა საჯარო ინფორმაციის შემცველი მოდული და სხვა სახის ინფორმაციული მოდულები; ხორციელდება არსებული ინფორმაციების მუდმივი განახლება. სიახლეების გვერდზე უზრუნველყოფილ იქნა ატვირთული სურათების ზომის კორექტირება; ვებგვერდზე განთავსებულ ჩანართზე - „ცნობის ფურცელი“ - უზრუნველყოფილ იქნა ინფორმაციის ციკლურად მიმდევრობით ცვლილება; მიმდინარეობს უნარშეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის შემოსავლების სამსახურის საინფორმაციო გვერდის გახმავანება.



საბაჟო ნებართვების ერთიანი სისტემა - პრემიერ მინისტრის ბრძანებულების თანახმად,

შემოსავლების სამსახურის მიერ უზრუნველყოფილი იქნა საბაჟო ნებართვების ერთიანი საინფორმაციო სისტემა. აღნიშნული გულისხმობს სხვადასხვა უწყებების მიერ გაცემული ნებართვების ერთიან საინფორმაციო სისტემაში თავმოყრას.

პროექტის ფარგლებში, უზრუნველყოფილ იქნა სხვადასხვა უწყებებისთვის (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს) პროგრამული მოდულების შექმნა, საიდანაც გამცემი უწყებები მოახდენენ გაცემული საბაჟო ნებართვების რეგისტრაციას. ისეთ სამინისტროებთან, რომლებსაც გააჩნდათ პროგრამული უზრუნველყოფა და ახორციელებდნენ ნებართვების ელექტრონულად აღრიცხვას, ინფორმაციის მიღების მიზნით, ელექტრონული სერვისები გაიმართა (გარემოს დაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები).



ანგარიშგების სისტემა - მომზადდა BI საინფორმაციო ანალიტიკური სისტემა, რომელიც ასახავს შემოსავლების სამსახურში მიმდინარე პროცესების სტატისტიკურ მაჩვენებლებს: საბიუჯეტო თანხების შესრულება, იმპორტის და ექსპორტის მაჩვენებლები და სხვა.

შეიქმნა შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს რეინიგზას შორის საბაჟო მიზნებისათვის მონაცემების ელექტრონულად გაცვლის სისტემა.

Android აპლიკაციები - შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებისთვის, მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიქმნა სხვადასხვა პროგრამული მოდულები: „ტერმინალის რისკები“, „ინსპექტირების აქტის სერვისები“, „საკონტროლო შესყიდვების აღრიცხვის სისტემა“.

საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი

შემოსავლების სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებდა რიგ პროექტებს/პროგრამებს; კერძოდ:

აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის საპილოტე პროექტი "სომხეთსა და საქართველოს შორის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის „ბაგრატაშენი-სადახლო“ ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა და სასაზღვრო პროცედურების გაუმჯობესება".

- ▶ პროექტის ფარგლებში, მეზაჟე ოფიცრებს ჩაუტარდათ ტრენინგები სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერების თემატიკაზე, რამაც შესაძლებლობა მისცა მათ, შეეძინათ ის პროფესიული უნარ-ჩვევები, რაც მნიშვნელოვანია სატრანსპორტო საშუალებებში სამალავების აღმოსაჩენად;
- ▶ პროექტის ფარგლებში, საბაჟო გამშვები პუნქტებისათვის შეძენილ იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრების ამომცნობი სისტემები, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს, გონივრულ დროში, ეფექტური საბაჟო კონტროლის პროცედურების განხორციელებას;
- ▶ პროექტის ფარგლებში, ქართველ და სომეხ კოლეგებს შორის, შედგა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა „საქართველოსმთავრობასადასომხეთისრესპუბლიკისმთავრობასშორის“სადახლო-ბაგრატაშენი“, „სადახლო - აირუმი“, „გუგუთი - გოგავანი“ და „ნინოწმინდა - ბრავა“-ს საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი გამოყენების შესახებ შეთანხმების“ პრაქტიკული იმპლემენტაციის მიზნით. არსებული მდგომარეობით, ამ ხელშეკრულების აზრი მდგომარეობს შემდეგში: გასვლისას ეკონომიკური ოპერატორი ვალდებულია, წარადგინოს ინფორმაცია; ეს ინფორმაცია ელექტრონულად გადაეცემა შესვლის საბაჟოს და გააჩნია ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორიც ექნებოდა იმავე ეკონომიკური ოპერატორის მიერ შესვლის საბაჟო ორგანოში წარდგენილ ინფორმაციას. შესაბამისად, უქმდება ერთი რგოლი, სახელდობრ - შესვლის საბაჟო ორგანოში ინფორმაციის წარდგენა. ასევე, როგორც წესი, ქვეყნიდან გასვლისას არ განხორციელდება საბაჟო კონტროლი; შესვლისას განხორციელებული საბაჟო კონტროლის შედეგების თაობაზე ინფორმაცია გაეგზავნება გასვლის საბაჟო ორგანოს; შესაბამისად, უქმდება გასვლისას საბაჟო კონტროლის განხორციელების საჭიროება. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ თუ გასვლის საბაჟო ორგანო გააჩნია ოპერატიული ინფორმაცია კონტრაბანდული ტვირტის მიერ ქვეყნის დატოვების შესახებ, მას ეკრძალება საბაჟო კონტროლის განხორციელება; ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, გასვლის საბაჟო ორგანო განხორციელებს საბაჟო კონტროლს. აქედან გამომდინარე, საბაჟო გამშვებ პუნქტში საბაჟო პროცედურების განხორციელების დრო მნიშვნელოვნად მცირდება, გასვლისას საბაჟო კონტროლის ზოგადად გაუქმების და შესვლისას საბაჟო ორგანოში ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების გაუქმების შედეგად. აღნიშნული კი დიდი შეღავათი იქნება ეკონომიკური ოპერატორებისთვის (გადაზიდველები, იმპორტიორები, ექსპორტიორები და ა.შ.); ასევე ამაღლდება საბაჟო კონტროლის ეფექტურობა, რაც გამოიწვევს, გასვლისას და შესვლისას, ეკონომიკური ოპერატორის მიერ, საბაჟო ორგანოში სხვადასხვა დოკუმენტის წარდგენის მანკიერ პრაქტიკას; იძლევა საშუალებას, გაუმჯობესდეს ინფორმაციის დამუშავებისა და რისკის ანალიზი. დაისახა თანამშრომლობის გეგმები, რაც ითვალისწინებს შესაბამისი პროტოკოლისა და ტექნიკური დოკუმენტების მიღებას და ინფორმაციის გაცვლის საცდელი რეჟიმის ინიცირებას;

- ▶ პროექტის ფარგლებში, ასევე გათვალისწინებულია საბაჟო გამშვებ პუნქტში „სადახლო“ სტაციონალური სკანერის დამონტაჟება. 2014 წელს მოხდა სკანერისათვის საჭირო სპეციფიკაციებზე შეჯამება და საჭიროებათა ანალიზის წარდგენა, ხოლო 2015 წელს მოხდება სკანერის ექსპლუატაციაში შესვლა;
- ▶ პროექტის ფარგლებში, 2015 წელს იგეგმება პოლონელი კოლეგების ვიზიტი საქართველოში და ქართველი მეზაჟე ოფიცრებისათვის პრაქტიკული ტრენინგის ორგანიზება, საბაჟო გამშვებ პუნქტებზე სკანერებთან მუშაობის და შესაბამისი სურათების ამოცნობის საკითხებზე; მსგავსი სახის ტრენინგებით ქართველი მეზაჟე ოფიცრები შეიძენენ იმ პრაქტიკული ხასიათის გამოცდილებას, რაც საგრძნობლად გაზრდის ეფექტური კონტროლის განხორციელების მაჩვენებელს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის საზღვრის ერთობლივი მართვის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტი

ევროკომისიის მხრიდან დამტკიცდა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის საზღვრის ინტეგრირებული მართვის ინსტიტუციონალური განვითარების პროექტი. პროექტი ითვალისწინებს პრაქტიკული ხასიათის ტრენინგებისა და სემინარების უზრუნველყოფას აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების საზღვრის მართვაში ჩართული უწყებების წარმომადგენლებისათვის იმ პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით, რაც, არსებული მდგომარეობით, წარმოადგენს გამოწვევებს. პროექტის სპეციფიკური მიზნები მდგომარეობს შემდეგში: მოდერნიზებული ტრენინგ სისტემის ჩამოყალიბება; ოპერატიული შესაძლებლობების გაძლიერება; საზღვრის კვეთის პროცედურების გაუმჯობესება; კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; საზღვრის მკვეთი პირების უფლებების დაცვა; ვიზა ლიბერალიზაციის ხელშეწყობა. პრაქტიკული ხასიათის ტრენინგები და სემინარები ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე, სამი წლის მანძილზე ჩატარდება აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში;

2015 წლის დასაწყისში წარმოდგენილი იქნება ტრენინგების განრიგი. ქართული მხარე აქტიურად არის ჩართული პროექტის ხელმძღვანელობასთან მუშა პროცესში, ტრენინგ პროგრამის თემატიკაში ჩვენი მხარის საჭიროებათა გათვალისწინების მიზნით;

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინტეგრირებული საზღვრის მართვის საპილოტე პროექტი „აზერბაიჯანის რესპუბლიკას და საქართველოს შორის სასაზღვრო–გამშვები პუნქტის „წითელი ხიდი“/“სინიქ ქორპუ“ ტექნიკითა და ინფრასტრუქტურით აღჭურვა და სასაზღვრო პროცედურების გაუმჯობესება“

პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია საბაჟო გამშვები პუნქტის სანიტარული და ფიტოსანიტარიული ინფრასტრუქტურით და შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა; ერთობლივი ტრენინგები აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად SPS საკითხებზე. პროექტის მიხედვით წარმოდგენილი მოთხოვნები პირდაპირ პროპორციულია ქვეყნისათვის პრიორიტეტული და სტრატეგიული ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი ტექნიკური ნაწილის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაციის მხრივ; საზღვარზე ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი სანიტარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის განხორციელების ვალდებულებასთან, რაც ასევე დაკავშირებულია ადამიანური

რესურსების ოპტიმიზაციასთან. პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლის მიზნით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკომისიასთან და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან. არსებული მდგომარეობით, საპროექტო წინადადება მოწონებულია ევროკომისიის მხრიდან, პროექტის შემდგომ ეტაპზე გადასვლის მიზნით, რაც ითვალისწინებს ბიუჯეტის დამტკიცებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკავშირის ექსპერტებთან ერთად, შემუშავებულ იქნა დამატებითი დასაბუთებები. 2015 წელს იგეგმება პროექტის ბიუჯეტის დამტკიცება და იმპლემენტაციის ეტაპზე გადასვლა.

ხორციელდება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის საბაჟო გამშვები პუნქტების ერთობლივი მართვა.

აღნიშნული პრინციპის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყნები ერთმანეთს წინასწარ უგზავნიან ინფორმაციას ელექტრონული სახით, მათი დანიშნულებით ან გავლით მოძრავი ტვირთის შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია სარგებლობს იმავე სტატუსით, როგორც შესვლის საბაჟო ორგანოში წარდგენილი ინფორმაცია. აღნიშნული პროცედურები ამაღლებს საბაჟო პროცედურების

განხორციელების ეფექტურობას და ასევე ამცირებს გახარჯულ დროს. არსებული მდგომარეობით, შეთანხმების პრაქტიკული იმპლემენტაციის საცდელი პროექტი მიმდინარეობს „სარფი“ საბაჟო გამშვებ პუნქტში. უახლოეს მომავალში იგეგმება შეთანხმებით გათვალისწინებული მექანიზმის დანერგვა ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტში.

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებში უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორების ინსტიტუტის დანერგვის ერთობლივი ღონისძიებების პროექტი

საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკებში, უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორების ინსტიტუტის შექმნის მიზნით, ჩამოყალიბდა ერთობლივი სამუშაო ჯგუფი. ჯგუფის მიზანია, განსაზღვროს და შეაფასოს უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორების კონცეფციის დანერგვის ინსტიტუციონალური განვითარების საჭიროებები; ასევე, ხელი შეუწყოს რეგიონული საბაჟო ქსელის შექმნას; ვაჭრობის უსაფრთხოებისა და ხელშეწყობის მიზნით, გაზარდოს სრულფასოვანი უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის (AEO) პროგრამების მოცულობა; შექმნას ინსტრუმენტები, რომლებიც დაეხმარებიან მხარეებს უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის (AEO) პროგრამის ელემენტების ჰარმონიზებაში.

გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) კონტეინერების კონტროლის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში, 2012 წლიდან, ქ. ფოთში, გაფორმების ეკონომიკური ზონის ბაზაზე, ფუნქციონირებს კონტეინერების კონტროლის დანაყოფი. დანაყოფი წარმოდგენილია შემოსავლების სამსახურის საბაჟო, შსს საპატრულო პოლიციისა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებით. საქართველო, არსებული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდებარეობით, წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანს ევროპასა და აზიას შორის, რაც, თავის მხრივ, ზრდის ნარკოტიკების, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების გადაზიდვების შესაძლებლობას. დანაყოფის ეფექტური მუშაობა განსაზღვრავს შესაძლო პოტენციური რისკების დროულად გამოვლენასა და აღმოფხვრას. საქართველოს სატრანზიტო

პოტენციალის გაზრდის გათვალისწინებით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ანალოგიური ჯგუფის თბილისის "გაფორმების ეკონომიკური ზონის" ბაზაზე შექმნის თაობაზე; 2015 წლის 20-30 იანვარს გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) და მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის (WCO) ორგანიზებით, ახალი დანაყოფის წევრებს ჩაუტარდებათ შესაბამისი ტრენინგები პროფესიული ცოდნის ამაღლებისა და საჭირო უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით.



კიოტოს განახლებული კონვენციასთან მიერთების პროექტი

კონვენციასთან მიერთების აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი ტექნიკური ნაწილის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი საგაქრო სივრცის შესახებ შეთანხმების (შემდგომში „DCFTA“) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებებიდან. აღნიშნული კონვენცია აღიარებულია როგორც თანამედროვე საერთაშორისო საბაჟო სტანდარტების ამსახველი სამართლებრივი ინსტრუმენტი, რომელიც არამარტო ავალდებულებს ხელშემკვრელ მხარეს - გაამარტივოს საბაჟო პროცედურები, არამედ აუმჯობესებს საბაჟოს კუთხით მიღებული შემოსავლების ადმინისტრირებას. ამასთან, კიოტოს განახლებული კონვენცია მიზნად ისახავს საბაჟო პროცედურებზე დახარჯული დროის შემცირებასა და ამით ვაჭრობაში დახარჯული სახსრების დაზოგვას. თავის მხრივ, აღნიშნული მოითხოვს უფრო მოქნილი საბაჟო რისკების მართვის სისტემისა და საქონლის გაშვების შემდგომი შემოწმების მექანიზმის ჩამოყალიბებას. შესაბამისად, კონვენციით განსაზღვრული პროცედურები წარმოადგენს საერთაშორისო კანონიერი ვაჭრობის განვითარების ერთ-ერთ წინაპირობას. 2014 წელს მოხდა კონვენციის ქართული თარგმანის მომზადება. შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია კონვენციით განსაზღვრული ვალდებულებების შედარება ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებთან; შესაბამისი ცვლილებების პროექტებისა და კონვენციის რატიფიცირებისათვის მომზადება;

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ შეთანხმების“ შესაბამისად ეროვნული კომიტეტის ჩამოყალიბების საკოორდინაციო საქმიანობა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი ქვეყნების მიერ მიღწეულ იქნა შეთანხმება „ვაჭრობის ხელშეწყობის შესახებ“ შეთანხმების მიღების თაობაზე. აღნიშნული შეთანხმების მთავარ რგოლს წარმოადგენს WTO-ს წევრი ქვეყნების საბაჟო ადმინისტრაციები. შეთანხმება მოითხოვს მნიშვნელოვანი რეფორმებისა და შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას, რამაც, მთლიანობაში, ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. როგორც წესი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მიღებული ყველა შეთანხმება ვრცელდება ყველა წევრ ქვეყანაზე. აღნიშნული ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმება ძალაში შევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 2015 წლის 31 ივლისამდე წევრი ქვეყნების 2/3 მოახდენს შეთანხმების რატიფიცირებას, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება იქნება რატიფიცირებული WTO -ს წევრი ქვეყნების 2/3-ის მიერ, ეს შეთანხმება ავტომატურად გავრცელდება ყველა წევრ ქვეყანაზე მიუხედავად იმისა, მოახდინა თუ არა კონკრეტულმა ქვეყანამ შეთანხმების რატიფიცირება. აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ცხრაწლიანი მოლაპარაკების შედეგს, რომელსაც WTO-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობა დადებითად აფასებს. იმის გათვალისწინებით, რომ ვაჭრობის ხელშეწყობის შეთანხმება მოითხოვს უამრავი რეფორმის გატარებას როგორც სამართლებრივ, ინფრასტრუქტურულ, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, შეთანხმება ანიჭებს განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს თავისუფლებას, რომ მოხდეს თითოეული საბაჟო მუხლის სათითაო კატეგორიზაცია (დაჯგუფება) A, B და C ჯგუფებად. C ჯგუფში მოქცეულ მუხლებზე გამოიყოფა ფინანსური რესურსები დონორი ორგანიზაციების მიერ; C ჯგუფი გათვლილია გრძელვადიან პროექტებზე. რაც შეეხება B ჯგუფს, ასეთი მუხლების სათანადო შესრულებაც დამოკიდებული იქნება დონორი ორგანიზაციების მხრიდან ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე; თუმცა არის გათვლილი უფრო მოკლევადიან პროექტებზე. A ჯგუფი გულისხმობს, რომ წევრ ქვეყანას არ სჭირდება ფინანსური დახმარება და ის დამოუკიდებლად შეძლებს შეთანხმების განხორციელებას. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა არ მოახდენს შეთანხმების პირველი ნაწილის (საბაჟო მუხლები) ჯგუფებად განაწილებას, ყველა მუხლი ჩაითვლება A ჯგუფში. შესაბამისად, შეთანხმების მუხლების დაჯგუფებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. შემოსავლების სამსახურში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახდენს აღნიშნული შეთანხმების მუხლების კატეგორიზაციას (A, B და C) არსებული ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩო-ფორმატის გათვალისწინებით. 2015 წლის დასაწყისში დასრულდება კატეგორიზაციის პროცესი და გადაიგზავნება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. ასევე შეთანხმების ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, 2015 წელს გათვალისწინებულია ვაჭრობის ხელშეწყობის ეროვნული კომიტეტის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება აღნიშნული შეთანხმების იმპლემენტაციის მონიტორინგზე. კომიტეტი პერსპექტიულად განსაზღვრული იქნება სხვადასხვა კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლობით.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი ტექნიკური ნაწილის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (შემდგომში „DCFTA“) ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ მიმართული საქმიანობის კოორდინაცია

შემოსავლების სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრულია რიგი ვალდებულებები, კონკრეტული დროის პერიოდში, ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ. მოცემულია ის ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განხორციელებაც განსაზღვრულია შეთანხმების ფარგლებში.



ევროკავშირის საბაჟო კოდექსი (საბჭოს რეგულაცია №2913/92) - აღნიშნულ

რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის მანძილზე.

მისი მიზანია საქართველოსა და ევროკავშირის ბიზნესის წარმომადგენლებისთვის ერთნაირი საბაჟო რეგულირების გარემოს შექმნა. ხსენებული პროცესი კერძო სექტორს მისცემს საშუალებას, მინიმუმამდე შეამციროს, საქართველოსა და ევროკავშირის სხვადასხვა სამართლებრივი ვალდებულებების შესრულების შედეგად, დანახარჯების ოდენობა საქონლის იმპორტ-ექსპორტისას. არსებული მდგომარეობით, საბაჟო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი რიგი პრინციპული და პროცედურული დებულებები, რომლებიც ადრე იყო საბაჟო კოდექსის შემადგენელი ნაწილი, ამჟამად წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებების ნაწილს. შესაბამისად, იერარქიულად დაბლა მდგომ აქტებში მოცემულია საბაჟო სისტემის ძირეული და საბაჟო პროცედურების პრინციპული დებულებები. ევროკავშირის საბაჟო კოდექსის მიხედვით, საქონლის შემოტანა-გატანასთან დაკავშირებული ურთიერთობების მარეგულირებელი ძირითადი ნორმები მოცემულია საკანონმდებლო აქტში, რომელიც იძლევა საშუალებას, შეიქმნას ერთიანი სამართლებრივი სისტემა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტზე მუშაობა. ევროკავშირის საბაჟო კოდექსის დებულებების გათვალისწინებით და GIZ-ის დახმარებით, შემუშავდა საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტის პირველი ვარიანტი. 2015 წელს იგეგმება საქართველოს საბაჟო კოდექსის პროექტის უწყებათაშორისი და კერძო სექტორთან განხილვები.

„ერთიანი ტრანზიტის პროცედურის შესახებ“ 1987 წლის 20 მაისის კონვენცია და ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტი (SAD) – „საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების შესახებ“ 1987 წლის 20 მაისის კონვენცია

ზემოხსენებული კონვენციების დებულებებთან მიახლოება, კონვენციებზე საქართველოს შესაძლო მიერთების ჩათვლით, განხორციელდება შეთანხმების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის მანძილზე.

ხაზგასასმელია, რომ ტრანზიტის საბაჟო პროცედურისას, საქართველოს საბაჟოს მიერ გაცემული სატრანზიტო დოკუმენტაცია და გარანტია, იმოქმედებს ევროკავშირის (ასევე შვეიცარია, ნორვეგია, თურქეთი) სისტემის მასშტაბით და გადაზიდვები ვალდებული აღარ იქნებიან, განმეორებით მოიპოვონ გარანტია ან ტრანზიტის ქვეყნის საბაჟოსთვის გააფორმონ დამატებითი დოკუმენტები, საქონლის საქართველოს ტერიტორიიდან გატანიდან დანიშნულების ადგილამდე. კონვენციის იმპლემენტაცია მოიცავს ერთიანი ელექტრონული სისტემის - NCTS დანერგვას, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ელექტრონულ რეჟიმში მოხდეს ტრანზიტის რეჟიმში ჩართული საბაჟო ადმინისტრაციების მიერ ტრანზიტის ოპერაციის შესახებ ინფორმაციის გაცვლა; ეს საგრძნობლად დააჩქარებს და აამაღლებს საბაჟო ადმინისტრირების პროცესს. 2014 წელს საქართველომ პირველად მიიღო მონაწილეობა, დამკვირვებლის სტატუსით, ევროკავშირის და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ქვეყნების ტრანზიტის საერთო კონვენციის და საქონლით ვაჭრობის ფორმალობების გამარტივების კონვენციის შესახებ ერთობლივი კომიტეტის 27-ე სხდომის სესიაზე. ევროკომისიასთან აქტიური მოლაპარაკებებისა და შეხვედრების ფარგლებში, მიღებულ იქნა შემდგომი აქტივობების რეკომენდაციები. 2015 წელს ევროკომისიის საბაჟო და საგადასახადო დირექტორატის ტრანზიტის სექტორის წარმომადგენლობა გამართავს სემინარს ქართველი კოლეგებისათვის, რის შემდეგაც მოხდება, ქართული მხარის მიერ, საჭიროებათა ანალიზის მომზადება და შესაბამისი აქტივობების განხორციელება.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული საბაჟო ღონისძიებების აღსრულების შესახებ ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2013 წლის 12 ივნისის რეგულაცია N608/2013 - აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის მანძილზე.

აღებულ ვალდებულებებს შორის 2014 წელს საქართველოს საზღვარზე დაცული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს დაემატა დიზაინის უფლება. 2014 წელს სამუშაო ჯგუფის დონეზე შემუშავდა და განისაზღვრა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა განხორციელებაც მოხდება ეტაპობრივად.

საქონლის წარმოშობის წესები, რომელიც ძალაშია 2014 წლის პირველი სექტემბრიდან

აღნიშნული წესების დებულებები გამოიყენება პროდუქციის წარმოშობის და საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლების მინიჭებისთვის. მწარმოებელს შესაძლებლობა ექნება, ისარგებლოს უფრო მეტი თავისუფლებით, პროდუქციის წარმოებისას განეული სამუშაოების და მასალების გამოყენების თვალსაზრისით; ანუ შესაძლებელი იქნება ევროკავშირში წარმოშობილი ნედლეულის (კომპონენტის) გამოყენებით, საქართველოში მოხდეს საქონლის წარმოშობისთვის აუცილებელი ოპერაციების განხორციელება. აღნიშნული საქონელი ევროკავშირში იმპორტისას გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. ეს შეთანხმება, სამომავლო პერსპექტივაში, ითვალისწინებს საქართველოს პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის ერთიანი წარმოშობის წესების სისტემაზე მიერთების შესაძლებლობას, რაც კიდევ უფრო გააფართოებს საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლების გეოგრაფიულ არეალს. 2014 წელს, ევროკომისიის ეგიდით, ქ.კიშინოვში (მოლდოვა) გაიმართა სემინარები წარმოშობის წესების თემატიკაზე. სემინარში მონაწილეობა მიიღეს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა. 2015 წელს იგეგმება რიგი სემინარები და

ტრენინგები აღნიშნულ თემაზე, რაც საგრძნობლად შეუწყობს ხელს ქართველ პროფესიონალებს ცოდნის დონის ამაღლებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას. შემოსავლების სამსახურმა ასევე მიიღო ევროკავშირის წარმოშობის სერტიფიკატის გამცემი ორგანოების უფლებამოსილი თანამშრომლების ელექტრონულ პლატფორმაზე დაშვება.

ქვეყანაში შემოსული ტვირთი შემოწმდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის მექანიზმებით.

ევროკავშირში ქართული პროდუქციისა და საქართველოში ევროკავშირის პროდუქციის იმპორტისას ტვირთის სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი განხორციელდება შემცირებული სიხშირით, რაც გააძლიერებს საზღვრის კვეთის პროცედურებს ფიტო/ვეტ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლისთვის. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, სანიტარული და ფიტოსანიტარული (მათ შორის, სასაზღვრო კონტროლი) კუთხით დასახლოებული კანონმდებლობის ჩამონათვალი და შესაბამისობის სია მიეწოდება ევროკავშირის მხარეს 2015 წლის დასაწყისში.

ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა ფიტოსანიტარულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ახალი ნუსხები; ფიტოსანიტარიის სფეროში შემუშავდა:



1. მცენარეთა მავნე ორგანიზმების ახალი ნუსხა; 2. მცენარეებისა და მცენარეული პროდუქტების ნუსხა საკარანტინო მავნე ორგანიზმების მიხედვით; 3. კონკრეტული ქვეყნების მიხედვით გაიწერა მცენარეები, მცენარეული პროდუქტები და სხვა კონტროლქვემდებარე ობიექტების ჩამონათვალი, რომელთა იმპორტიც აკრძალულია. ვეტერინარიაში განახლდა კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის ნუსხა, რომელსაც დაემატა მე-3 სვეტი სათანადო განმარტებით.

მნიშვნელოვნად შემცირდა ფიტოსანიტარიულ და ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული საქონლის სანებართვო ნუსხები;

ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის ჩატარების ელექტრონული აქტები (CVED), რომელიც შედგება 2 ნაწილისგან: პირველი ნაწილი - „წინასწარი შეტყობინება“ (იგსება საქონლის მფლობელის მიერ); მე-2 ნაწილი - „გადაწყვეტილება ტვირთის შესახებ“ (იგსება უფლებამოსილი პირის მიერ).

მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტებზე, რომელიც ითვალისწინებს არაცხოველური წარმოშობის სურსათის სასაზღვრო კონტროლს; ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების სასაზღვრო კონტროლს. ჯანდაცვის სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი (მონაწილეობს შემოსავლების სამსახური, სურსათის ეროვნული სააგენტო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სურსათის უვნებლობის სფეროში), რომლის მიზანია, შეიმუშაოს „სასურსათო ნედლეულისა და კვების პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების სანიტარული წესები და ნორმები“.

საზღვარზე ეფექტური ვეტერინარული, ფიტოსანიტარიული და სურსათის უვნებლობის კუთხით, ევროკავშირის პრაქტიკის შესაბამისი კონტროლის განხორციელების მიზნით, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნით, TAIE-X-ის დახმარებით, ჩატარდა ორი ტრენინგი: სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებზე ვეტერინარული ფიზიკური შემოწმების განხორციელება და სასაზღვრო ინსპექციის პუნქტებზე მცენარეთა სიჯანსაღის კონტროლი. ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს შემოსავლების სამსახურის და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებმა (შემოსავლების სამსახურიდან - 30 ვეტერინარი და ფიტოსანიტარი, სურსათის ეროვნული სააგენტოდან - 21 წარმომადგენელი).

საბაჟო რისკების მართვის სისტემის ოპტიმიზაცია

საბაჟო რისკების სისტემის ოპტიმიზაციის ფარგლებში, განხორციელდა რიგი აქტივობები სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში:

- ▶ 2014 წელს დასრულდა ტექნიკური დახმარების პირველი ეტაპი, აშშ-ის ტექნიკური დახმარების ოფისის საბაჟო რისკების მართვის კუთხით. წარმოდგენილი რეკომენდაციების და სემინარების ფარგლებში, მოხდა საბაჟო რისკების მართვის სისტემის განახლება. 2015 წელს დაგეგმილია ტექნიკური დახმარების მეორე ეტაპის განხორციელება, რაც ითვალისწინებს საბაჟო რისკების სისტემის ინსტიტუციონალიზაციის პროცესში ეფექტური მართვის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების ამოქმედებას.
- ▶ 2014 წელს დაიწყო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარების პროექტი; ჩატარდა საჭიროებათა ანალიზი. 2015 წლისთვის განისაზღვრა შემდეგი აქტივობების განხორციელება: საბაჟო

რისკების მართვის სისტემის პოლიტიკის განსაზღვრა; ინსტრუქციების შემუშავება რისკის მართვის, ანალიზის და კონტროლის საწარმოებლად; ზოგადი კონტროლის პოლიტიკის, მათ შორის, განმარტებების, ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების (KPI) და კონტროლის განხორციელების პრინციპების შემუშავება და არაინტერუბიული შემოწმებების (NII) გამოყენება.

- ▶ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით, ევროკავშირის პროექტის „გაძლიერებული თანამშრომლობა დაცული საზღვრებისა და უსაფრთხო მიგრაციის მიზნით“ ფარგლებში, შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები ეწვივნენ პოლონეთის საბაჟო ადმინისტრაციას; ადგილზე გაეცნენ ოპერატიული თანამშრომლობის პრაქტიკას და საბაჟო რისკების მართვის სპეციფიკას. პოლონური პრაქტიკის გათვალისწინებით, დაგეგმილია რიგი აქტივობები საქართველოს საბაჟო რისკების სისტემის შემდგომი ოპტიმიზაციის მიზნით. 2015 წელს ასევე დაგეგმილია დიდი ბრიტანეთის პრაქტიკის გაცნობა.

საბაჟო ავტომატიზებული სისტემების განახლება

მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ტექნიკური დახმარებით, დასრულდა საბაჟო ავტომატიზებული სისტემების განახლება; ASYCUDA World-ის ახალი გაუმჯობესებული ფუნქციების მქონე ვერსიის დანერგვა და თანამშრომლებისათვის შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფა. სისტემის განახლებით დაინერგა ახალი მოდულები, რამაც შექმნა ეფექტური ადმინისტრირების და ანალიზის სრულყოფის მნიშვნელოვანი ბაზა.

2014 წლის ოქტომბერში საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრსა და საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის, ერთის მხრივ, და საერთაშორისო საგზაო ტრანსპორტის კავშირის, მეორე მხრივ, თანამშრომლობით, ASYCUDA World-ში მოხდა SafeTIR და EPD-TIR მოდულებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული მოდულების შემოსავლების სამსახურის პროგრამულ სისტემაში სრულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით.

ამასთან, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი კოორდინაციას უწევს გაეროს ეკონომიკური კომისიის ევროპისთვის ტირ სამდივნოს 2013 წელს შემოთავაზებულ გაეროს განვითარების („United Nations Development Account“) „განვითარებადი ქვეყნებისთვის და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, მათი შესაძლებლობების გაუმჯობესება საზღვრის ლეგიტიმურად გადაკვეთის, რეგიონული თანამშრომლობისა და ინტეგრაციის საკითხებში“ მსოფლიო პროექტში. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს, საბაჟო ადმინისტრაციებს შორის საზღვრის ლეგიტიმური გადაკვეთის საკითხებში გაზარდოს ინფორმაციის ელექტრონული გაცვლა. ამასთან, ეს პროექტი ხელს შეუწყობს საბაჟო ადმინისტრაციებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ელექტრონული შეტყობინებების საერთაშორისო სტანდარტების ეფექტურ გამოყენებას ტრანზიტის ოპერაციებში. პროექტი ხორციელდება ტირ სამდივნოს (გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის) ზედამხედველობით; უშუალოდ შემოსავლების სამსახურიდან მონაწილეობას იღებენ საბაჟო დეპარტამენტი და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი. ამ მხრივ, 2014 წლის სექტემბერში, დასრულდა პროექტის პირველი ეტაპი - მომზადდა ხარვეზების ანალიზი, რომელიც აფასებს საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში არსებული საკანონმდებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე არსებულ ხარვეზებს. აღნიშნული ხარვეზების ანალიზის ანგარიშის პრეზენტაცია და პროექტის სამომავლო გეგმების განხილვა მოხდა 2014 წლის 8 დეკემბერს, ქ. ჟენევაში, UNECE-ს

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და USAID – EPI მხარდაჭერით, ჩატარდა კვლევა: „საბაჟო საზღვრის კვეთისას და გაფორმების პროცედურების დროს გახარჯული დროის გაზომვა“. კვლევის შედეგებმა აჩვენა საზღვრის კვეთის და გაფორმების პროცედურების ეფექტურობა და მომსახურების მაღალი სტანდარტები.

პირველი ექსპერტ ჯგუფის რეგიონული შეხვედრის ფარგლებში.

კვლევის შედეგები შეიძლება ნაყოფიერად იქნას გამოყენებული მომავალში იმ პროცედურებისა და მომსახურების კიდეც უფრო განსავითარებლად და ფართოდ დასაწერად, რომელიც დღესდღეობითაც განაპირობებს საბაჟოს ეფექტურ მუშაობას.

2014 წელს დასრულდა „საბაჟო გამშვები პუნქტის კვეთისას და გაფორმების პროცედურების დროს გახარჯული დროის გაზომვის“ პროექტი. პროექტი კონცენტრირებულია ტვირთების კონტროლისა და გაშვების დროის გაზომვის კვლევების ჩატარებაზე (კვლევების განხორციელების ადგილი: თბილისის გაფორმების ეკონომიკური ზონა და სარფის საბაჟო გამშვები პუნქტი). პროექტი ითვალისწინებს მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისი ტვირთების გაშვების დროის გაზომვის მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული

კითხვარით, საბაჟო პროცედურების განხორციელებისას დროის გაზომვის პროცედურების ორგანიზებას. პროექტის ფარგლებში, გამოვლინდა გამოწვევები და დაისახა მათი გადაჭრის გზები. პროექტი განხორციელდება მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის, USAID/EPI-ის და შემოსავლების სამსახურის ეგიდით. 2015 წელს მოხდება პროექტის ანგარიშის დასრულება და გასატაროება.

საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულებები

საბაჟო სფეროში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შეთანხმების გაფორმება მიზნად ისახავს სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის, მათი ეკონომიკურ, კომერციულ, ფისკალურ, სოციალურ და კულტურულ სფეროსთან დაკავშირებული ინტერესების დაცვას და, საბაჟო ადმინისტრაციების მიერ, საბაჟო აკრძალვების, შეზღუდვებისა და კონტროლის ზომების სათანადო აღსრულებას.

2014 წლის მარტში გაფორმდა ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შეთანხმებები აზერბაიჯანის და ყაზახეთის რესპუბლიკების საბაჟო ადმინისტრაციებთან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ხელშეკრულების ტექსტების შეთანხმება შემდეგ ქვეყნებთან: ბელორუსია, ყირგიზეთი, უზბეკეთი, იორდანია, შვეიცარია, ბრაზილია, არგენტინა, სამხრეთი კორეა, აშშ, სამხრეთი აფრიკა, არაბთა გაერთიანებული საემიროები, მექსიკა, ნორვეგია და კანადა.

მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა

2014 წელს შემოსავლების სამსახური აქტიურად მონაწილეობდა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში. სხვადასხვა კომიტეტებისა და ქვეკომიტეტების სხდომების ფარგლებში, მოხდა ქართული პრაქტიკის გაზიარება. შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო სემინარებში.

2014 წელს საქართველომ უმასპინძლა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის (52 ქვეყანა) საბაჟო

ადმინისტრაციების ხელმძღვანელთა კონფერენციას. კონფერენციის ფარგლებში, საქართველომ საერთაშორისო ასპარეზზე მხარი დაუჭირა მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის განვითარების ინიციატივას, რაც, საერთაშორისო დონეზე, უზრუნველყოფს უსაფრთხო და თავისუფალ ვაჭრობას; საბაჟო პროცედურების გამარტივებასა და ჰარმონიზებას; სამართლიანი, ეფექტური და გამჭვირვალე შემოსავლების მობილიზებას; სახელმწიფო საზღვარზე საზოგადოების უსაფრთხოებას და დაცვას; ინსტიტუციონალურ განვითარებას; დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა ბერკეტებისა და ინფორმაციის გაცვლის ეფექტურად გამოყენებას; საბაჟოს როლის გაზრდას შესრულების ინდიკატორის განსაზღვრის მიზნით; საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი ტექნიკური ინსტრუმენტების გამოყენებას.

ინსტიტუციონალური შესაძლებლობების განვითარების ტექნიკური დახმარების პროექტების ფარგლებში, შეთანხმდა და დაიგეგმა რიგი აქტივობები: კინოლოგიის ცენტრის სრულყოფის მიზნით, 2015 წელს საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის ცენტრს ეწვევიან გერმანელი კოლეგები. 2015 წელს განხორციელდება ტექნიკური დახმარების პროექტები, საბაჟო გაფორმების შემდგომი შემოწმების და უფლებამოსილი ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის პრაქტიკის გამოცდილების გაზიარების მიზნით. 2015 წელს შემოსავლების სამსახური აქტიურად განაგრძობს თანამშრომლობას მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციასთან.

1. თანამშრომლობა OECD-სთან



შემოსავლების სამსახური თანამშრომლობს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (OECD). საქართველომ 2014 წელს წარმატებით გადალახა OECD-ის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის გლობალ ფორუმის პირველი ფაზა. ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად იქნა აღიარებული. ამჟამად, შემოსავლების სამსახური ემზადება მეორე ფაზის გასავლელად, რომლის ფარგლებში შემოწმდება, რამდენად ზედმიწევნით ხორციელდება ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული სტანდარტები და რამდენად დროულად და ეფექტურად ასრულებს ქვეყანა საერთაშორისო შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთან, 2014 წელს საქართველო, 3 წლის ვადით, აირჩიეს გლობალ ფორუმის შემფასებელთა ჯგუფში, რომელიც ახორციელებს ფორუმის წევრი 123 ქვეყნის საგადასახადო იურისდიქციის კანონმდებლობისა და მისი აღსრულების პრაქტიკის შეფასებას, საგადასახადო ადმინისტრაციებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და გამჭვირვალობის სტანდარტების სფეროში.

ამის გარდა, შემოსავლების სამსახური ჩართულია ფინანსური ინფორმაციის გაცვლის შესახებ OECD-ის შექმნილ სამუშაო ჯგუფის მუშაობაში და არის მისი წევრი. 2014 წლის განმავლობაში შემოსავლების სამსახური ასევე ჩართული იყო BEPS-ის პროექტში (საგადასახადო ბაზის ეროზია და მოგების გადატანა). აღნიშნული პროექტი გულისხმობს იმ გარემოებების დადგენას/გამოკვეთას, რაც ხელს უწყობს ქვეყნიდან კანონიერი გადასახადის გადინებას და მის წინააღმდეგ ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას, პროექტის ერთ-ერთი მიმართულება აღნიშნულ საქმიანობაში განვითარებადი ქვეყნების მაქსიმალურ ჩართულობას გულისხმობს.



2. სხვადასხვა ქვეყნებთან საგადასახადო სფეროში ინფორმაციის გაცვლისა და ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებების მომზადება, მოლაპარაკების წარმოება

შეთანხმება შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, შიდა კანონმდებლობის აღსრულების მიზნით, გაცვალონ საგადასახადო ინფორმაცია, რაც ბუნებრივად აუშკობებს გადასახადების ადმინისტრირებას და ეხმარება ქვეყნებს, ებრძოლონ გადასახადების თავიდან აცილებას.

2014 წლის განმავლობაში ლიტვის რესპუბლიკასთან დაიდო საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება; ასევე ლიტვასთან გაფორმდა შეთანხმება ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ და ბელორუსიის რესპუბლიკასთან - ინფორმაციის გაცვლის შესახებ. მიმდინარეობს მოლაპარაკებები, შეთანხმების გაფორმების მიზნით, ბაჰამის თანამეგობრობის მთავრობასთან, სეიშელის რესპუბლიკასთან, ლატვიასთან; ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ - თურქმენეთთან.

3. ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ სისტემის ჩამოყალიბება

OECD-ის მიერ დანერგილ Standard Transmission Format (STF). ინფორმაციის ავტომატური გაცვლა გულისხმობს ყოველწლიურად, მოთხოვნისგან დამოუკიდებლად, ავტომატურ რეჟიმში, ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნისთვის, ამ მეორე ქვეყნის რეზიდენტების მიერ მიღებულ შემოსავალზე, ინფორმაციის მიწოდებას.

ასევე, მიმდინარეობს მუშაობა, რათა დაინერგოს პარტნიორი ადმინისტრაციების მიერ მიღებული ავტომატური ინფორმაციის წაკითხვისა და შემოსავლების სამსახურის ბაზასთან შედარების სისტემა და შესაბამის ქვეყნებთან გაფორმდეს მემორანდუმი ინფორმაციის ავტომატური გაცვლის შესახებ.

იცით თუ არა, რომ შემოსავლების სამსახურმა დანერგა სისტემა ქვეყნებს შორის რეზიდენტების მიერ მიღებულ შემოსავალზე ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის შესახებ, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით? განხორციელდა პირველი ავტომატური გაცვლა და ინფორმაცია მიეწოდა გერმანიის, ისრაელისა და ესტონეთის საგადასახადო ადმინისტრაციებს.

4. თანამშრომლობა IOTA-სთან

შემოსავლების სამსახური არის საგადასახადო ადმინისტრაციათა შიდა ევროპული ორგანიზაციის წევრი. იგი აქტიურად მონაწილეობს ორგანიზაციის ეგიდით გამართულ სამუშაო შეხვედრებსა და ტრენინგებში, რომლის მიზანია ქვეყნებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება. 2014 წელს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის კოორდინაციით, სხვადასხვა ქვეყანაში, IOTA-ს ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში, 22 თანამშრომელი იქნა მივლინებული. 17-19 სექტემბერს შემოსავლების სამსახურმა რიგით მესამედ უმასპინძლა IO-TA-ს ეგიდით გამართულ ღონისძიებას.

5. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად

შემოსავლების სამსახური აქტიურად მუშაობს ასოცირების შეთანხმებით (საგადასახადო ნაწილი) განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიმართულებით. კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური ჩართულია როგორც ასოცირების შეთანხმების შესრულების გეგმის მომზადებაში, ასევე ამზადებს ანგარიშს შეთანხმების შესრულებასთან დაკავშირებით. ტვინინგის პროექტის ფარგლებში, მიმდინარეობს საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობის შედარება, ცვლილებათა ანალიზის განხორციელება და სამოქმედო გეგმის შემუშავება დღგ-სა და აქციზის მიმართულებით.

ასოცირების შეთანხმების თანახმად, გათვალისწინებულია:

დღგ-ის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან:

- ✓ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საბჭოს დირექტივასთან № 2006/112 დამატებული ღირებულების გადასახადის ერთიანი სისტემის შესახებ.

აღნიშნული გულისხმობს საქართველოს დღგ-ის მთლიანი სისტემის მისადაგებას ევროკავშირის სისტემასთან და კანონმდებლობასთან.

ამასთან, შეთანხმების მიხედვით, საქართველო იტოვებს უფლებას, დღგ-ის გადახდისაგან გაათავისუფლოს საქონლისა და მომსახურების მიწოდება, რომელიც შეთანხმების ძალაში შესვლის მომენტისთვის თავისუფლდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე.

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის მანძილზე.

- ✓ საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საბჭოს დირექტივა № 86/560 წესები დღგ-ის დაბრუნების შესახებ იმ გადასახადის გადამხდელებისთვის, რომელნიც არ არიან ევროკავშირში დაფუძნებული

ევროკავშირის კომპანიებს, რომლებიც არ არიან დაფუძნებული საქართველოში, ექნებათ შესაძლებლობა (გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით), დაიბრუნონ საქართველოს ტერიტორიაზე ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით გადახდილი დღგ.

ბუნებრივია, ნაცვალებების პრინციპის საფუძველზე, ქართული ბიზნესი იგივე უფლებებით ისარგებლებს ევროკავშირის ტერიტორიაზე.

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის მანძილზე.



აქციზის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან

საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია შემდეგ დირექტივებთან:

✓ საბჭოს დირექტივა №92/83 ენერგო პროდუქტებისა და ელექტროენერგიის დაბეგვრის თაობაზე

აღსანიშნავია, რომ ეს ჰარმონიზაცია ეხება მხოლოდ აქციზის სტრუქტურას და შეთანხმების ძალით არის დათქმა, რომ ჰარმონიზაციის ვალდებულება არ მოქმედებს აქციზის განაკვეთზე.

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის მანძილზე.

✓ საბჭოს დირექტივა №92/83 ალკოჰოლზე და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზის სტრუქტურის შესახებ

აღსანიშნავია, რომ შეთანხმების მიხედვით, აქციზით დაბეგვრას არ დაექვემდებარება ოჯახში დამზადებული ალკოჰოლური სასმელები, რომელიც არ არის განკუთვნილი გასაყიდად და წარმოებულია საოჯახო მოხმარებისთვის.

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის მანძილზე.

✓ საბჭოს დირექტივა № 2011/64 წარმოებულ თამბაქოზე გამოსაყენებელი აქციზის სტრუქტურისა და განაკვეთების შესახებ

შეთანხმების მიხედვით, აქციზის განაკვეთი თამბაქოზე გაიზრდება ეტაპობრივად და გათვალისწინებული იქნება საქართველოს ინტერესები კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით და რეგიონალური კონტექსტი.

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 წლის მანძილზე.

ამასთან, შეთანხმების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში შეიკრიბება ასოცირების საბჭო, თამბაქოს აქციზის განაკვეთის გაზრდის გრაფიკის შესახებ წინადადების წარმოდგენის მიზნით, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს საგადასახადო შემოსავლების დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარე.

✓ საბჭოს დირექტივა №2008/118 აქციზის ზოგადი წესების შესახებ (მუხლი 1)

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის მანძილზე.

✓ საბჭოს დირექტივა № 2007/74 (მე-3 ქვეთავი, რაოდენობრივი ლიმიტები) დღგ-ისა და აქციზისაგან მესამე ქვეყნიდან სამოგზაუროდ შემოსული პირების შემოტანილი საქონლის გათავისუფლების შესახებ

აღნიშნულ რეგულაციასთან დაახლოება განისაზღვრა შეთანხმების ძალაში შესვლიდან 3 წლის მანძილზე.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებსა და საქართველოს შორის თანამშრომლობასა და პოლიტიკის ჰარმონიზაციას, აქციზურ საქონელთან დაკავშირებული თაღლითობისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით.

თანამშრომლობა საგადასახადო მიმართულებით - შეთანხმების დებულებების იმპლემენტაციასა და ასახვასთან დაკავშირებული ზომების მიღება (ქმედებების განხორციელება უნდა დაიწყოს შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან)

შემოსავლების სამსახური თანამშრომლობს საგადასახადო სფეროში ევროკავშირის ქვეყნებთან კანონიერი შემოსავლების ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, ევროკავშირის ქვეყნების გამჭვირვალობის, ინფორმაციის გაცვლისა და სამართლიანი საგადასახადო კონკურენციის პრინციპების დანერგვისა და განხორციელების უზრუნველსაყოფად.

6. თანამშრომლობა ტვინინგის პროექტის ფარგლებში

2014 წელს, ევროკავშირის დაფინანსებით, დაიწყო ტვინინგის პროექტი, რომელიც ემსახურება საგადასახადო სფეროში შემოსავლების სამსახურის მუშაობის გაძლიერებას; პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 1,300,000 ევროს.

სოცირების შეთანხმების შესაბამისად, პროექტი მიზნად ისახავს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო კუთხით მომუშავე სხვადასხვა დეპარტამენტებისათვის დახმარების აღმოჩენას და გამოცდილების გაზიარებას, რაც გამოიხატება არსებული მდგომარეობის შეფასებაში, ტრენინგების ჩატარებაში, მონაწილე ქვეყნის საგადასახადო ადმინისტრაციაში სასწავლო ვიზიტების ორგანიზებაში; რეკომენდაციების და მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავებაში; პრაქტიკული ხასიათის ტრენინგების ჩატარებაში, ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად (დღგ და აქციზი).

პროექტის მოსალოდნელი შედეგებია:

- ▶ საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების გაუმჯობესება;
- ▶ ვალის მართვის არსებული ინსტრუქციების გადახედვა და საჭიროებისამებრ ახლის შემუშავება;
- ▶ რეკომენდაციების, სამოქმედო გეგმის და ცვლილებათა ანალიზის მომზადება დღგ-ის სისტემის ევროკავშირის სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად;
- ▶ რეკომენდაციების, სამოქმედო გეგმის და ცვლილებათა ანალიზის მომზადება აქციზის სისტემის ევროკავშირის სისტემასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ასოცირების შეთანხმების შესაბამისად;
- ▶ ადამიანური რესურსების განვითარების სამმართველოში ახალი ტექნიკების/უნარების დანერგვა;
- ▶ გადამხდელთა უფლებების მხარდაჭერის მიზნით, შემოსავლების სამსახურის მიერ შეთავაზებული მომსახურებების ფარგლებში, პროცესებისა და პროცედურების გაუმჯობესება;

2014 წლის განმავლობაში განხორციელდა 52 სამუშაო შეხვედრა და 2 სასწავლო ვიზიტი ავსტრიაში.



7. საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

გასული წლის განმავლობაში, საქართველოს ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის 6 მისია, საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმების მხარდასაჭერად. მისიების მიზანი იყო, წინა რეკომენდაციებიდან გამომდინარე, არსებული პროგრესის შეფასება; ასევე რეკომენდაციების განწევა დეკლარირების, რეგისტრაციის, აუდიტისა და კანონმორჩილების მიმართულებით.

პროექტის დახმარებით მიმდინარეობს მუშაობა:

- ▶ გადამხდელთა კანონმორჩილების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის,
- ▶ აუდიტის სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის,
- ▶ შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების მოსამზადებლად.

8. თანამშრომლობა USAID-თან

შემოსავლების სამსახურში 2014 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მთელი რიგი პროექტები USAID-ის ეგიდით; კერძოდ:

1. USAID – EPI-ის პროექტის ფარგლებში, 2014 წლის განმავლობაში, ხდებოდა შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერა შემდეგი მიმართულებებით:

ა) საგადასახადო ნორმატიული საფუძვლების მიმოხილვაში მხარდაჭერა, რათა საგადასახადო კოდექსში შესული შესწორებები საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში განიხილოს და განავითაროს;

ბ) სალიზინგო ოპერაციათა დაბეგვრის სახელმძღვანელოს, ქონებისა და მოგების გადასახადების სახელმძღვანელოების შემუშავება; კერძოდ, EPI-ს კონსულტანტები მონაწილეობდნენ სალიზინგო ოპერაციათა დაბეგვრის სახელმძღვანელოს, მოგებისა და ქონების გადასახადების სახელმძღვანელოთა შემუშავებაზე. EPI-ს მიერ რამდენიმე საჯარო თუ დახურული განხილვის გამართვის შემდგომ დასრულდა სალიზინგო ოპერაციათა დაბეგვრის სახელმძღვანელოს შემუშავება; მიმდინარეობს მისი შიდა განხილვის პროცესი;

გ) მხარდაჭერა გადასახადების გადახდის გამარტივებაში (ერთიანი სახაზინო კოდი);

EPI-ს ექსპერტმა - ირაკლი სირაძემ დაასრულა საგადასახადო კოდექსში და საგადასახადო რეგულაციებში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე მუშაობა და მონაწილეობს ბიზნეს რეინჟინერინგის/ტესტირების პროცესში;

2. USAID/Georgia Human and Institutional Capacity Development (HICD) PLUS Project-ის ფარგლებში, მოხდა ქართველი ექსპერტის დაქირავება, რომელიც, ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებში, ახლად დანიშნულ აუდიტორებს უტარებს ტრენინგს. პროექტის მიზანია აუდიტის დეპარტამენტის შიდა რესურსის ზრდა, რაც აუცილებელია ალტერნატიული აუდიტის პროექტის დახურვიდან გამომდინარე;

3. 2014 წელს დამტკიცდა **USAID G4G** პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს შემოსავლების სამსახურის მხარდაჭერა შემდეგი მიმართულებებით:

- ▶ ერთიან სახაზინო კოდზე გადასვლასთან დაკავშირებით - ამ ეტაპზე მიმდინარეობს კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროს შეფასება;
- ▶ საგადასახადო კოდექსის გამარტივება - მუშაობა დღგ-ის საკანონმდებლო ცვლილებების (ცვლილებათა ანალიზი) მიმართულებით, ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად (ტვინინგის პროექტთან კოორდინაციით).

9. თანამშრომლობა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციასთან

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია შემოსავლების სამსახურს 2014 წლის განმავლობაში უწევდა დახმარებას შემდეგი მიმართულებებით:

- ▶ სამსახურთან საგადასახადო ადმინისტრირების პროცედურების გამარტივებისა და საერთაშორისო დაბეგვრის საკითხები;
- ▶ გლობალ ფორუმის შეფასების პირველი და მეორე ფაზის გადალახვა.

დახმარება გულისხმობდა როგორც ექსპერტულ ანალიზს, ასევე დახმარებას კონკრეტული პროექტის შემუშავებაში; ასევე სამუშაო შეხვედრებისა და ტრენინგების ორგანიზებას.

10. თანამშრომლობა ნიდერლანდების სამეფოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესაბამისად

აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2014 წელს დაფინანსდა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელთა მონაწილეობა სლოვენიაში გამართულ სამუშაო შეხვედრებში; 2015 წელს დაგეგმილია შემოსავლების სამსახურის კომპონენტის ზრდა და უფრო აქტიური თანამშრომლობა აუდიტისა და რისკების მართვის მიმართულებებით.

11. ორმხრივი თანამშრომლობა საფრანგეთის საგადასახადო სამსახურთან

2014 წელს განახლდა საქართველოსა და საფრანგეთის საგადასახადო ადმინისტრაციათა შორის არსებული თანამშრომლობა. პროექტის ფარგლებში, განხორციელდა ქართული დელეგაციის ვიზიტი საფრანგეთში. ასევე 2015 წელს დაგეგმილია ფრანგული დელეგაციის ვიზიტი საქართველოში, რომლის ფარგლებშიც საფრანგეთის საგადასახადო ადმინისტრაციის თანამშრომლები ქართველ კოლეგებს გაუზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და პრაქტიკას აუდიტის პროცესისა და დაგეგმვის მიმართულებით.



იურიდიული დეპარტამენტი

წინასწარი გადაწყვეტილებები

2014 წელს წინასწარი გადაწყვეტილებების წინა წლის ნაშთად გადმოყვა **22** მოთხოვნა, ხოლო ამავე წელს შემოსული იყო **55** მოთხოვნა; ჯამში - **77** მოთხოვნა; აქედან:

40 მოთხოვნაზე წინასწარი გადაწყვეტილება გაცემულია;

11 მოთხოვნას, ხარვეზის გამო, უარი ეთქვა განხილვაზე.

წინასწარი გადაწყვეტილებები გამოცემულია შემდეგ სფეროებში: სამშენებლო, სატელეკომუნიკაციო, საბანკო, სატრანსპორტო, სარეკლამო, სამედიცინო, საქველმოქმედო საქმიანობა, ენერგოწარმოება, სოფლის მეურნეობა, სადაზღვევო და სხვა.

შემოსულია **261** მოთხოვნა წინასწარი გადაწყვეტილების გამოცემის თაობაზე; აქედან :

194 მოთხოვნაზე წინასწარი გადაწყვეტილება გაცემულია;

41 მოთხოვნას უარი ეთქვა განხილვაზე ხარვეზის გამო;

26 მოთხოვნა განხილვის სტადიაშია.

იურიდიულ დეპარტამენტში მ/წლის განმავლობაში შემოსულია 164 წერილობითი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე; მათ შორის:

137 განმცხადებელი დაკმაყოფილდა

18 განმცხადებელს უარი ეთქვა

9 განმცხადებელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა

3 განხილვის სტადიაშია

საქართველოს საგადასახადო კოდექსის განმარტებების მომზადებისა და საგადასახადო კანონმდებლობის ცალკეული ნორმების გამოყენების თაობაზე სიტუაციური სახელმძღვანელოების შემუშავების მიზნით, შექმნილია „საკოორდინაციო საბჭო“




საკოორდინაციო საბჭო



საბჭოს თავმჯდომარე

შემოსავლების სამსახურის
უფროსი



საბჭოს წევრები

შემოსავლების სამსახურის
თანამშრომლები

საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში საგადასახადო ექსპერტის სტატუსით მონაწილეობას იღებენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები და „კერძო სექტორი“ : ბიზნესის წარმომადგენლები, ომბუდსმენი, ალტერნატიული აუდიტი, დამოუკიდებელი ექსპერტები და სხვ.

დღევანდელი მდგომარეობით:

დამტკიცებულია 403 სიტუაციური სახელმძღვანელო;

მომზადებულია 5 სიტუაციური სახელმძღვანელო.

აუდიტის დეპარტამენტი

2014 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, დაინიშნა **2,780** საგადასახადო შემოწმება; აქედან, **1,953** კამერალური და **827** გასვლითი საგადასახადო შემოწმება;

2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, დასრულებულია სულ **3,125** საგადასახადო შემოწმება; მათ შორის - **1,051** გასვლითი, ხოლო - **2,074** კამერალური. საერთო დარიცხვამ შეადგინა სულ - **635,164,420** ლარი (ძირითადი **408,763,863** ლარი და ჯარიმა **226,400,557** ლარი); მათ შორის, **1,051** გასვლითი შემოწმებიდან - **485,404,147** ლარი (ძირითადი - **319,960,457** ლარი და ჯარიმა **165,443,690** ლარი); **2,074** კამერალური შემოწმებიდან – **149,760,273** ლარი (ძირითადი **88,803,406** ლარი და ჯარიმა **60,956,867** ლარი).

მკვე	გასვლითი		კამერალური		სულ	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
1	2	517,980	13	764,268	15	1,282,248
2	8	2,130,594	103	3,084,502	111	5,215,096
3	25	4,869,892	131	3,340,698	156	8,210,590
4	48	26,720,377	116	12,086,847	164	38,807,224
5	41	8,072,752	158	3,106,343	199	11,179,095
6	53	4,875,676	271	8,441,645	324	13,317,321
7	71	17,374,970	231	7,091,021	302	24,465,991
8	58	19,049,502	154	4,511,267	212	23,560,769
9	77	105,866,281	153	6,467,211	230	112,333,492
10	77	113,867,453	134	5,655,443	211	119,522,896
11	124	27,206,276	252	13,815,094	376	41,021,370
12	467	154,852,394	358	81,395,934	825	236,248,328
სულ	1,051	485 404 147	2,074	149,760,273	3,125	635,164,420


აუდიტის დეპარტამენტში ასევე მიმდინარეობს ლიკვიდაციის რეჟიმში მყოფი რისკის მატარებელი გადამხდელების საგადასახადო შემოწმებები, რომლებიც დამტკიცებულ გეგმაში არ არიან გათვალისწინებულნი. აგრეთვე, დამტკიცებული გეგმის გარეშე, მიმდინარე რეჟიმში, ხდება სხვა სტრუქტურული ერთეულებიდან წერილობითი მომართვის და დადგენილების საფუძველზე შემოწმებების ინიცირება.



ალტერნატიული აუდიტის განმახორციელებელი პირების მიერ, 2014 წელს დასრულებული საგადასახადო შემოწმებების სტატისტიკური მონაცემები

ალტერნატიული აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ დასრულებულია სულ **1,305** საგადასახადო შემოწმება. დარიცხულმა თანხამ შეადგინა **12,670,032** ლარი; მათ შორის:

- ▶ A კატეგორიის აუდიტორული კომპანიის მიერ, **2** საგადასახადო შემოწმება; დარიცხულმა თანხამ შეადგინა **58,571** ლარი;
- ▶ B კატეგორიის აუდიტორული კომპანიის მიერ, **326** საგადასახადო შემოწმება; დარიცხულმა თანხამ შეადგინა **6,532,609** ლარი;
- ▶ C კატეგორიის აუდიტორის მიერ, **704** საგადასახადო შემოწმება; დარიცხულმა თანხამ შეადგინა **3,902,674** ლარი;
- ▶ II კატეგორიის აუდიტორის მიერ, **273** საგადასახადო შემოწმება; დარიცხულმა თანხამ შეადგინა **2,176,178** ლარი.
- ▶ 2014 წლის ბოლოსთვის მიმდინარეობს **11** შემოწმება.



წელი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ
A	2,715	0	0	0	55,856	0	0	0	0	0	0	0	58,571
B	2,138,726	1,967,172	1,291,150	998,019	-35,423	164,261	0	0	8,703	0	0	0	6,532,608
C	1,021,599	874,672	655,396	550,505	638,893	119,522	16,095	1,175	8,180	2,597	2,285	11,756	3,902,675
II	0	0	0	0	0	0	0	103,963	478,398	731,886	333,954	527,978	2,176,179
სულ	3,163,040	2,841,844	1,946,546	1,548,524	659,326	283,783	16,095	105,138	495,281	734,483	336,239	539,734	12,670,033

2014

დავების განმხილველი ორგანოებიდან მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების სტატისტიკური მონაცემები

წლის განმავლობაში შემოსულია დავების განმხილველი ორგანოების მიერ 2014 წლის საგადასახადო შემოწმების აქტებზე (633 საჩივარი) მიღებული გადაწყვეტილებები; მათ შორის: არ დაკმაყოფილდა **256** საჩივარი, სრულად დაკმაყოფილდა **34** საჩივარი (მათ შორის, **22** კეთილსინდისიერი გადამხდელის პრინციპით), ნაწილობრივ დაკმაყოფილდა **343** საჩივარი. აქედან გადაანგარიშდა **214** (მათ შორის, **47** კეთილსინდისიერი გადამხდელის პრინციპით, ხოლო **39** დამატებითი არგუმენტაციის წარმოდგენლობის გამო არ დაექვემდებარა გადაანგარიშებას).

ხარისხის კონტროლის სამმართველოს სტატისტიკური მონაცემები და გატარებული ღონისძიებები

2014 წლის სექტემბრის თვეში დამტკიცდა საჯარო სამართლის იურიდიული პირის შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო შემოწმებების (მათ შორის, ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში მიმდინარე შემოწმებები)

ხარისხის კონტროლის რეგლამენტი დანართებთან ერთად:

რეგლამენტით განისაზღვრა აუდიტის დეპარტამენტში, ასევე, ალტერნატიული აუდიტის პროგრამის ფარგლებში, ჩატარებული ან/და მიმდინარე საგადასახადო შემოწმებების ხარისხის კონტროლის განხორციელების წესი;

ხარისხის კონტროლის მიზნებისათვის ხარისხის კონტროლის სამმართველოში 2014 წელს შემოსულია სულ **1,134** აქტის პროექტი (მ/შ **361** ალტერნატიული აუდიტის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შემოწმების აქტი); სულ განხორციელდა **1,237** აქტის პროექტის ხარისხის კონტროლი (მ/შ **403** ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში);

2014 წლის განმავლობაში ხარისხის კონტროლის შედეგად (ალტერნატიული აუდიტის ჩათვლით), ბიუჯეტის სასარგებლოდ, დამატებით დარიცხულმა თანხამ შეადგინა **9,213,761** ლარი, ხოლო შემცირდა **6,629,911** ლარი; აქედან, აუდიტის დეპარტამენტში მიმდინარე საგადასახადო შემოწმებების აქტების პროექტებზე განხორციელდა დამატებით დარიცხვა **8,672,371** ლარის ოდენობით და შემცირება **6,525,573** ლარის ოდენობით;


ხარისხის კონტროლის სამმართველოში შემოსული, საგადასახადო შემოწმების აქტებთან დაკავშირებით შედგენილი ხარისხის ანგარიშების ანალიზის საფუძველზე, მეტი სიხშირით გამოვლენილი ზოგიერთი განმეორებადი უზუსტობებისა და შეუსაბამობების გათვალისწინებით, ასევე, საგადასახადო შემოწმების აქტის პროექტების/აქტების სრულყოფის მიზნით, 2014 წლის განმავლობაში მომზადდა და მთავარ სამმართველოს მიეწოდა 5 სარეკომენდაციო წერილი.

აუდიტის დეპარტამენტის მედიაციის სამმართველოს სტატისტიკური მონაცემები

აუდიტის დეპარტამენტის **მედიაციის სამმართველოში** აუდიტის დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ საგადასახადო შემოწმებებთან დაკავშირებით, 2014 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ჯამურად შემოსულია **893** პრეტენზია; მათ შორის: დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - **240**; დაკმაყოფილდა სრულად - **3**; საკითხი განუხილველად გადაეგზავნა შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს - **382**; არ დაკმაყოფილდა - **180**; ოქმი შედგა და საკითხი განუხილველი დარჩა - **41**; განხილვაშია - **5**; უარი მედიაციაზე - **42**.




უარის საფუძველი შეიძლება იყოს ვადის დარღვევა, პრეტენზიის არაუფლებამოსილი პირის მიერ წარმოდგენა, ალტერნატიული შემოწმების შედეგების სრულად აღიარება, კონკრეტული არგუმენტაციის არარსებობა და სხვა, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი წესით.



აუდიტის დეპარტამენტის მედიაციის სამმართველოში, 2014 წლის იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ალტერნატიული აუდიტის მიერ განხორციელებულ საგადასახადო შემოწმებებთან დაკავშირებით შემოსულია 25 პრეტენზია; მათ შორის: დაკმაყოფილდა ნაწილობრივ - 10; საკითხი განუხილველად გადაეგზავნა შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოს - 1; არ დაკმაყოფილდა - 5; ოქმი შედგა და საკითხი განუხილველი დარჩა - 1; უარი მედიაციაზე - 8.


აუდიტის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოს სტატისტიკური მონაცემები



აუდიტის დეპარტამენტის მონიტორინგის სამმართველოში განხორციელებულმა მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების რაოდენობამ სულ შეადგინა 214 ერთეული; მათ შორის:

2014 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, გატარებული ღონისძიებების შედეგად, ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხულმა სანქციის თანხამ 7,230,100 ლარი შეადგინა.

აუდიტის დეპარტამენტის მეთოდოლოგიის სამმართველოს მიერ გატარებული ღონისძიებები



აუდიტის დეპარტამენტის მეთოდოლოგიის სამმართველოს მიერ შემუშავდა და დაინერგა საგადასახადო აუდიტის თემატური და ადმინისტრაციული პროცედურების **11** საკონტროლო ცხრილი (Lead sheet), რომელშიც ასახულია ცალკეული საკითხების შემოწმების მთელი პროცესი; ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება.

Twining-ის პროექტის ფარგლებში, სამსახურის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ელექტრონული აუდიტის პროგრამული უზრუნველყოფის მოსამზადებელ სამუშაოებში. პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტების მიერ, მოხდა საქართველოში ძირითადად გავრცელებული ბუღალტრული პროგრამული უზრუნველყოფის გაცნობა. მიმდინარეობს ელექტრონული აუდიტის პროგრამული უზრუნველყოფის სატესტო რეჟიმში შესწავლა.

შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსდა სასწავლო კურსი აქციზის საკითხებზე და ქონების გადასახადის საკითხებზე. მიმდინარეობს მუშაობა, სხვა გადასახადების მიხედვით, სასწავლო თეორიული კურსის მოსამზადებლად.

აშშ-ის ხაზინის დეპარტამენტის ტექნიკური დახმარების სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემუშავდა საგადასახადო შემოწმების აქტის ფორმის პროექტი და მისი შედგენის მეთოდიკა;

ეკონომიკის სხვადასხვა დარგის და სფეროს გადასახადის გადამხდელთა სპეციფიკის გათვალისწინებით, უცხოელი ექსპერტების დახმარებით, მომზადდა ცალკეული დარგების (მშენებლობა, სასტუმრო ბიზნესი, სატრანსპორტო კომპანიები, ვაჭრობის სფერო) საგადასახადო აუდიტის მეთოდოლოგიური ინსტრუქციები;

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების პირველი მისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით, აუდიტორის პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, 2014 წელს ჩატარდა მოქმედ ალტერნატიულ აუდიტორთა ტესტირება. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო **700**-მდე პირმა. ტესტირების პირველი ეტაპი გადალახა მხოლოდ **249** პირმა (მიიღო მინიმალური და მასზე მეტი გამსვლელი ქულა), ხოლო მეორე ეტაპის (გასაუბრება) შემდგომ, ალტერნატიული აუდიტის პროგრამაში მონაწილე აუდიტორთა რაოდენობამ **120** შეადგინა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში, აუდიტის დეპარტამენტის და სავალუტო ფონდის მისიის წარმომადგენლების მიერ დაგეგმილ იქნა აქტივობები 2016 წლის 1 ივნისამდე, რომელიც მიზნად ისახავს, პროფესიონალი კადრების, თანამედროვე მიდგომების და ინსტრუმენტების დახმარებით, საქართველოს მოსახლეობის საგადასახადო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას.

საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტი

- ▶ საქონლის ტრანსპორტირებისას ზედნადების გადამოწმება - **90,892** ,
დაჯარიმებულთა რაოდენობა - **6,247** ,
ჯარიმის თანხა - **4,724,700** ლარი;
- ▶ დაწყებული ინვენტარიზაცია - **2,448** (მათ შორის, სრული - **925**, შერჩევითი - **1,523**);
დასრულებულია - **2,346** (მათ შორის - **805** სრული, შერჩევითი - **1,541**),
სანქცია - **31,911,919** ლარი (მათ შორის, სრული - **31,591,017** ლარი, შერჩევითი - **320,902** ლარი);
- ▶ საკონტროლო შესყიდვა და სსა-ს გამოყენების წესების დაცვის კონტროლის პროცედურის რაოდენობა - **58,252**, გამოვლენილი სამართალდარღვევა - **34,213** (მათ შორის, გაფრთხილება - **22,413**), სანქცია - **2,785,500** ლარი;
- ▶ გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევის გამოვლენა - **1,158**;
- ▶ წინააღმდეგობის გაწევის გამო შედგენილია **40** საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი;
- ▶ სათამაშო ბიზნესის სანებართვო პირობების გადამოწმებასთან დაკავშირებით, შედგენილია სულ **538** აქტი (დაკისრებულია სანქცია **655,000** ლარი). ამასთან, შედგენილია საგადასახადო სამართალდარღვევის **11** ოქმი (სანქცია - **140,500** ლარი);
- ▶ დათვალიერების მიმდინარე კონტროლის პროცედურის განხორციელების შედეგად, გამოვლენილია აგს-ზე ლუქის გარეშე ან დაზიანებული ლუქით მუშაობის **122** შემთხვევა;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით შედგენილია შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ოქმები (ცალი):

- ▶ ვალუტის გამოყენების წესის დარღვევა - **270**;
- ▶ ნავთობის ტრანსპორტირების და შენახვის წესების დარღვევა - **44**;
- ▶ აქციზური მარკის გარეშე შენახვა/რეალიზაცია - **43**;
- ▶ თამბაქოს რეალიზაცია წესების დარღვევით (50 მ-იანი დაშორება) - **326**;
- ▶ კონტრაფაქციული ასლების უკანონო შეძენა - **5**;
- ▶ სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენება - **16**;
- ▶ დაწყებული ექსპერტიზა - **1,067**, დასრულებული - **715**.

განხილულია და სათანადო დასკვნა წარდგენილია საგადასახადო დავებთან დაკავშირებით წარმოდგენილ **3,181** საჩივარზე; გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე ასახულია **43,526** სამართალდარღვევის ოქმი, თანხით - **39,884,655** ლარი; ასევე, ასახულია **4,767** ბრძანება (ოქმის გადაკვალიფიცირება, ბათილობა, საჩივრის დაკმაყოფილება/ნაწილობრივ, დაკმაყოფილება/არ დაკმაყოფილება).



დავების დეპარტამენტი

შემოსავლების სამსახურის მედიაციის საბჭოში განხილულია
8,898 საჩივარი.

დაკმაყოფილდა - 760	არ დაკმაყოფილდა - 4,143	ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 2,817	განუხილველი - 1,178
8%	47%	32%	13%

2014 წელს სასამართლოში დასრულებულია 712 საქმე; მათ შორის:

შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ დასრულდა 480 საქმე (მათ შორის, 383 დაყადაღების საქმე)	67%
გადასახადის გადახდელის სასარგებლოდ დასრულდა 62 საქმე (მათ შორის, 19 დაყადაღების საქმე)	9%
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 34 საქმე (ასპ-ის 32.4 მუხ. — 26 საქმე)	5%
გადახდისუუნარობის საქმის წარმოება - 136 საქმე	19%



საგადასახადო ადმინისტრირების დეპარტამენტი

საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული პროექტები

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტების უშუალო დახმარებით, შეიქმნა „ნებაყოფლობითი დეკლარირების და გადახდევინების სტრატეგია“, გაიწერა დეტალური სამოქმედო გეგმა და მომზადდა საინფორმაციო ჟურნალის პროექტი, სადაც აღწერილია შემოსავლების სამსახურის ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;

შეიქმნა პროგრამული პროდუქტი, რაც საშუალებას გვაძლევს, საკონტროლო შესყიდვებისა და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმების გამოწერა მოხდეს ელ.მონყობილობის საშუალებით (ტაბი). შედეგად, შევსებული ინფორმაცია ავტომატურად აისახება გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს შეცდომის დაშვების ალბათობას; ასევე აღარ საჭიროებს დამატებით ადამიანურ რესურსს შესაბამისი მონაცემების ელექტრონულად ასახვისათვის;

პირველი ნაბიჯები გადაიდგა „ნებაყოფლობითი დეკლარირების და გადახდევინების სტრატეგიის“ ფარგლებში

მიმდინარეობს მუშაობა არსებული რისკების პროგრამაში ცვლილების შეტანასა და ახალი კრიტერიუმების დამატებასთან დაკავშირებით. 2013 წლის შეცვლილი მოგების დეკლარაციის მიხედვით, მოხდა რამდენიმე კრიტერიუმის შემუშავება, რომელიც იმოქმედებს 2013 წელსა და შემდგომი პერიოდის მოგების დეკლარაციებზე; აგრეთვე მიმდინარეობს ელექტრონული ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების მონაცემების იმპლემენტაცია რისკების პროგრამაში;

ინერგება, ელექტრონული ზედნადებებისა და ანგარიშ-ფაქტურების მონაცემებზე დაყრდნობით, რისკის კრიტერიუმები.

უკვე შესაძლებელია, ელ.მონყობილობის საშუალებით (ტაბი) საკონტროლო შესყიდვებისა და საგადასახადო სამართალდარღვევის ელექტრონული ოქმების გამოწერა

მიმდინარეობს, GPRS სალარო აპარატების მონაცემების საფუძველზე, ელექტრონული პროგრამის შემუშავება, რომლის საშუალებითაც მოხდება, პროგრამაში იმპლემენტირებული კრიტერიუმების მიხედვით, რისკის თვალსაზრისით, შესამოწმებელი ობიექტებისა და სექტორების შეფასება;

შემუშავებულ იქნა ვაჭრობის ორგანიზატორი პირების მიერ

მოიჭარეთა შესახებ ინფორმაციის მოდული, რომელიც ჩაშენებული იქნა შემოსავლების სამსახურის ვებპორტალზე www.rs.ge; ამან გაამარტივა აღნიშნული სფეროს ადმინისტრირების საკითხი;

შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ავტორიზებულ სისტემაში „ASYCUDAWorld“ დაემატა 30 რისკის პროფილი სასაქონლო ოპერაციებზე. ხოლო გადასახადების ადმინისტრირების საინფორმაციო სისტემას დაემატა **85** რისკის პროფილი საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული ფიზიკური პირების, სატრანსპორტო საშუალებების და საქონლის კონტროლისთვის.

უკვე ამუშავდა საბაჟო რისკების მართვის პროგრამა საბაჟო გამშვებ პუნქტებში.

ერთადერთი ბანკი საქართველოში, რომელთანაც ურთიერთობა არ ხორციელდებოდა ელექტრონულად. იგი არის რიგით 21-ე ბანკი, რომელთანაც გაფორმდა აღნიშნული ხელშეკრულება;

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დახმარებით,

შეიქმნა საგადასახადო დავალიანების გადახდევინების გადავადების ელექტრონული პროგრამა, რომლის მეშვეობით ხდება გადახდევინების ინდივიდუალური გრაფიკების მორგება.

მდგომარეობით, მუშაობს ტესტურ რეჟიმში და უახლოეს მომავალში (სავარაუდოდ, იანვრიდან) მოხდება მისი რეალურად გამოყენება.

ნაღდი ფულის ამოღების პროცედურის ოპერატიული და ეფექტური განხორციელების მიზნით, საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრს ეთხოვა ელექტრონული პროგრამის შექმნა, რომლის მეშვეობით, წინასწარ შეტანილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, მოხდება იმ გადახდელთა შერჩევა და შესაბამისი ბრძანებების გამოცემა, რომელთა სალაროდან შესაძლოა განხორციელდეს ნაღდი ფულის ამოღება. პროგრამის შექმნაზე მუშაობა დაწყებულია და სავარაუდოდ დასრულდება 2015 წლის პირველ კვარტალში.

2014 წლის საგადასახადო შემოწმების გეგმისათვის ინიცირებული გამომხდევლების სტატისტიკური მონაცემები

ინიცირებული შესამოწმებელი ობიექტების მიმდინარე სტატუსი	ობიექტების რაოდენობა	დარიცხვა აქტის პროექტის მიხედვით	დარიცხვა აქტის მიხედვით	საგადასახადო მოთხოვნა
დასრულებული	450	258,363,639.68	247,782,742.69	265,457,215.19
დასრულებული შუალედური	144	8,946,577.27	31,176,676.56	31,252,098.48
მიმდინარე	4	-	-	-
მიმდინარე შუალედური	4	-	-	-
შეჩერებული	34	9,403,474.49	-	-
შეჩერებული შუალედური	139	5,681,631.99	-	-
ჯამი	775	282,395,323.42	278,959,419.25	296,709,313.67
2014 წლის გეგმის მიხედვით შემოწმებას დაეგეგმებარა სულ:				656
ამ მომენტისათვის შემოწმება დანიშნულია:				630
შემოწმება არ დანიშნულა:				26



ზოგადი სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე კონტროლის ღონისძიებებისა და შემოწმებების შესახებ, რომელიც ინიცირებულ იქნა 2014 წლის განმავლობაში

ინიცირებული ინვენტარიზაცია	რაოდენობა	დასრულებული	ჯამური დარიცხვა	საშუალო დარიცხვა
	338	226	18,543,340	82,050
დამატებითი ინიცირებული საგადასახადო შემოწმებები	გადაცემული	დასრულებული	დარიცხულია აქტით	დარიცხულია პროექტით
	1,096	833	32,907,964	167,186,922
ინიცირებული საკონტროლო შესყიდვა	გადაცემული	დანიშნული	გამოვლენილი სამართალდარღვევები	შეფარდებული სანქცია
	1,525	873	401	38,100
ინიცირება ალტერნატიული აუდიტის ფარგლებში	გაიგზავნა შეტყობინება	გაფორმდა ხელშეკრულება	დასრულდა შემოწმება	აქტით დარიცხულია
	374	268	260	2,115,359
სალიკვიდაციო საგადასახადო შემოწმებები	გადაცემული	დასრულებული	დარიცხულია აქტით	დარიცხულია პროექტით
	172	60	178,629	70,029

საგადასახადო შეთანხმებები

გაფორმდა (დასრულებულია)	რაოდენობა	დავალიანება	გადახდილი
	273	46,931,706	20,081,253
გაუქმდა (დასრულებულია)	რაოდენობა	დავალიანება	გადახდილი
	25	5,713,095	3,305,655
მიმდინარე	რაოდენობა	დავალიანება	გადახდილი
	51	13,245,806	4,558,425

საბაჟო რისკების მართვის ავტომატიზებული სისტემის საშუალებით, 2014 წელს გამოვლენილი სამართალდარღვევები

გამოვლენილი ფასთაშორის სხვაობა შემცირებული საბაჟო ღირებულებით	გამოვლენილი ფასთაშორის სხვაობა გაზრდილი საბაჟო ღირებულებით	გამოვლენილი ყალბი პრეფერენციული გადაადგილების სერტიფიკატი EUR.1	„ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი მიენიჭა (გაუქმება 50)
2,948,115 ლარი	3,667,810 ლარი	122 ერთეული	27 გადახედული
ელ. ბაგების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი სამართალდარღვევებით დარიცხული/დასარიცხი თანხა	საზღვრის რისკების პროფილის საფუძველზე გამოვლენილი სამართალდარღვევებით დარიცხული და გადახდილი თანხა	გამოვლინდნენ ფიზიკური პირები, რომელთაც იმპორტის ოპერაციებიდან გამომდინარე წარმოეშენათ დღგ-ის გადახდულად რეგისტრაციის ვალდებულება	
514,802 ლარი	531,416 ლარი	57 ფიზიკური პირი	
გამოვლინდა არადეკლარირებული ძვირფასი ლითონის ნაკეთობა	გამოვლინდა საჯარიმო დეკლარაციების 511 შემთხვევა, დარიცხული ჯარიმის თანხა	გამოვლინდა სისხლის სამართლის 25 შემთხვევა, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები; მათ შორის,	
3,101 გრამი	1,465,428 ლარი	2,790 კგ. თხევადი ჰეროინი	

ზოგადი სტატისტიკური მონაცემები გადახდევენების ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელების, დავალიანების მართვისა და საგადასახადო შეთანხმებების შესახებ

გადახდევენების უზრუნველყოფის ღონისძიებები

	შედგენილია	შენწყვეტილია	დაფარული დავალიანება
ყადაღის აქტი	3,614	5,847	100,133,022
სალაროდან ნაღდი ფულის ამოღება	10	76,761	
შემდგომი რეალიზაციის სასაბართლო შუამდგომლობისთვის მომზადებულია	გადახდეულთა რაოდენობა 765	შეფასების მიზნით ექსპერტიზაზე გადაგზავნილია	გადახდეულთა რაოდენობა 1,611



დავალიანების მართვა

	დაიდო - რაოდენობა	დაიდო - დავალიანებაზე	მოიხსნა - რაოდენობა	მოიხსნა - დავალიანებაზე
ბირჟნობა	338	226	18,543,340	82,050
ინკასო	66,994	647,155,591	39,786	167,126,721
ყაღალა ანგარიშზე	1,658	300,134,292	1,631	273,317,505

დავალიანების მართვა

	რაოდენობა	დავალიანება
ყაღალა (ქონებაზე)	15,452	1,989,903,467
ალსრულების ეროვნულ ბიუროს გადაგზავნა	403	111,246,983
დავალიანების გადავადება	411	33,541,360

ფინანსური დეპარტამენტი

შემოსავლების სამსახურის 2014 წლის გეგმამ შეადგინა **175,183,800** ლარი; მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები - **43,000,000** ლარი და საკუთარი სახსრები - **132,183,800** ლარი. 2014 წელს დაიხარჯა **159,151,000** ლარი; მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები **42,850,000** ლარი და საკუთარი სახსრები **116,301,000** ლარი.

2014 წელს შემოსავლების სამსახურში, უწყვეტ რეჟიმში, მიმდინარეობდა საბაჟო-საგადასახადო მომსახურების სრულყოფა და განვითარება, რაც მოიცავს როგორც მომსახურების ოფისებში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, ისე სხვადასხვა პროგრამების დანერგვას და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის შესყიდვას; კერძოდ:

2014 წელს სულ გაფორმდა **736** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება ღირებულებით **38,116,660** ლარი; ჩატარდა **448** ტენდერი, საიდანაც სატენდერო ეკონომიამ შეადგინა **6,511,180** ლარი

განხორციელდა ისანი-სამგორის, გლდან-ნაძალადევის, ვაკე-საბურთალოს, ზუგდიდის, მცხეთის, გორის, ფოთის, ბათუმის, სამტრედიის და ზესტაფონის სერვისცენტრების მოდერნიზაცია

ა) მომსახურების სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით,

ბ) ვიზიტორთა შეუფერხებელი გადაადგილების და საბაჟო კონტროლის გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა სგპ „სარფის“, სგპ „წითელი ხიდის“, სგპ „ნინოწმინდის“, სგპ „გუგუთის“, სგპ „ყაზბეგის“ და სგპ „ვალეს“ სარეკონსტრუქციო, შიდა და გარე ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები;





გ) საბაჟო გამშვები პუნქტის „კარნახი“ სამშენებლო სამუშაოებზე 2014 წელს დაიხარჯა **5,296,500** ლარი;

სულ ჯამში, 2014 წელს, შემოსავლების სამსახურის ობიექტების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა **21,952,240** ლარი.

საგადასახადო და საბაჟო პროცედურების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების შესყიდვა/განახლება; კერძოდ:

ბ) გეზი „თბილისის 2“ შეუფერხებლად ფუნქციონირების მიზნით, შეძენილ იქნა დიზელ გენერატორი ღირებულებით **390,000** ლარი;

გ) კომპიუტერული ტექნიკა და სხვადასხვა პროგრამები - **517,600** ლარი;

დ) შემოსავლების სამსახურის ობიექტებზე ვიდეო-საკონტროლო სისტემის განახლება - **393,900** ლარი.

დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი 2“, რომლის სამშენებლო სამუშაოებზე 2014 წელს დაიხარჯა 3,825,700 ლარი

შეძენილ იქნა სამი კომპლექტი სტაციონარული რენტგენული კონტროლის სკანერი ღირებულებით 7,575,548 ლარი

საინფორმაციო ცენტრი:
032 2 299 299
ცენტრალური აპარატი, გორგასლის ქ. № 16, 0114
info@rs.ge

